ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 7 დეკემბერი, 2017 №290 (7525) ფასი: 50 თეთრი

შოთა მალაშხია: „როგორ მოაწყო სამმა კაცმა იარალის საწყობი სამოთახიან ბინაში?!

გვ.5

30 ნოემბრიდან

ქართული დეტექტივი მე-15 ზომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

დეკანოზი გიორგი მამალაძე: „მაიძულებდნენ, მელიარებინა პატრიარქის მკვლელობის მომზადება“

გვ.7

„სააკაშვილი უკრაინის ლიდერი ვერ გახდება“

გვ.4

„მღებრიშვილისგან ახალ ჯანელიძეს და ჭიკაიძეს ქმნით“

გვ.3

მამუკა არეშიძე: „სააკაშვილი უნიჭიერესი ადამიანია პიარის და პოლიტიკური ინტრიგის თვალსაზრისით“

გვ.4

ნანა დევდარიანი: „თუ სააკაშვილი ასე გააგრძელებს, უკრაინა დაიშლება“

გვ.2

სამართალი

ქართველი მსაჯი მალთაყვის ნაძვნარში გარდაცვლილი იპოვეს

გვ.7

129 ერთეული ანევმატური პისტოლეტის შემოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ეკონომიკა

1 იანვრიდან ოქროსფერი 50-თეთრიანი მონეტის გამოყენება შესაძლებელი აღარ იქნება

გვ.6

თბილისის მოსახლეობის ნაწილს იანვრიდან გაზი გაუძვირდება

სამინისტროების გაერთიანების შედეგად, ახალ უწყებებში მხოლოდ 6 საჯარო მოხელით ნაკლები იმუშავებს

მიკროსაფინანსოებმა 16,745,911 ლარის უძრავ-მოძრავი ქონება დაისაკუთრეს

საქართველოს სოფელი გადაარჩენს!!!

გვ.5

ISSN 1987-9385

8 დიმიტრი ლორთქიფანიძე: „სააკაშვილი რუსეთისთვის სასარგებლო იდიოტის როლს თამაშობს“

3 გიორგი ლაფანაშვილი: ცხინვალმა ყაზბეგი აღმოსავლეთ ოსეთად გამოაცხადა და მის მიერთებას ითხოვენ

11 ქართული სახარება-პალიმფსესტი „იუნესკოს“ მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეიტანეს

ნანა დევდარიანი: „თუ სააკაშვილი ასე გააგრძელებს, უკრაინა დაიშლება“

გულიკო ბალაძე

კიევში მიმდინარე მოვლენებით აღფრთოვანებულმა ნაცებმა გუშინ ე.წ. ღირსების მარში ჩაატარეს. „ღირსების მარშში“ მონაწილეობისთვის კი რეგიონებიდან მხარდამჭერები ჩამოიყვანეს.

სააკაშვილის კიევური ეპოპეით გულმოცემულმა ნაცმოძრაობამ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებითაც კი გაახარა მხარდამჭერები. ნაცმოძრაობის მცირერიცხოვანმა მხარდამჭერებმა მრავლისმნახველ რუსთაველის პროსპექტზე ჩაიარეს და სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია გამართეს.

რა აქცია გამართეს ნაცმოძელებმა? რა ღირსებაზეა საუბარი, ამაზე „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელ ნანა დევდარიანს ვესაუბრეთ.

– ქალბატონო ნანა, ალბათ, თვალყურს ადევნებთ კიევში მიმდინარე მოვლენებს და საქართველოში მის გამოძახილს. ნაცმოძრაობამ სააკაშვილის მხარდასაჭერად რუსთაველზე „ღირსების მარში“ და აქცია მოაწყვო. შეგიძლიათ გვითხრათ, რა ღირსებაზეა საუბარი?

– სააკაშვილის სახურავზე გაქცევის ღირსებაა. ეტყობა, ამ ღირსებას გულისხმობენ, სხვა ვერაფერი დავინახე, სამწუხაროდ.

– ზოგადად, როგორ აფასებთ იმ მოვლენებს, რაც კიევში ხდება და რაც სააკაშვილმა და მისმა ნაცმოძრაობამ წამოიწყო?

– ამის გარკვევა ძალიან რთულია. ახლა გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილი ბინის ქირას არ იხდიდა და კიდევ იქ ხმაურიან წვეულებებს აწყობდა. გაჩნდა ინფორმაცია, რომ პოლიცია ბინის პატრონმა გამოიძახა. ფაქტია, რომ ამ ყველაფრის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანას ცდილობენ. მეორე მხრივ, ძალიან უცნაურად გამოიყურება ეს ყველაფერი, რომ სააკაშვილს უკვე მეორეჯერ აძლევენ საშუალებას, მომხრეების ხელით ხან საზღვარზე გადმოვიდეს და ხან დაკავებული გათავისუფლდეს. ეს სახელმწიფოს მხრიდან სატირალია, რადგან ლაპარაკია სახელმწიფოზე.

ასე ადამიანის დაკავება არ ხდება. ადამიანს აკავებენ სხვა წესით, სხვა დროს, სხვა მეთოდებითა და საშუალებებით. ცალკე საკითხავია, ამდენი ხნის განმავლობაში როგორ ვერ მოახერხეს ქუჩის გათავისუფლება და სააკაშვილის მიყვანა დაკითხვაზე ან სხვა პროცედურაზე.

– მე მგონი, ეგ სააკაშვილის სტილია. სხვათა შორის, ინფორმაცია იყო, რომ თურმე სააკაშვილს ავლაბრის რეზიდენციაში ე.წ. „ლევი“ გაზის მილი ჰქონდა გაყვანილი და პრეზიდენტი ჩუმად ღებულობდა გაზს და დახარჯული გაზის ფულს არ იხდიდა.

– გეტყვით, მანდ სინამდვილეში რა მოხდებოდა – სააკაშვილი გაზისთვის ფულს რომ არ დაზოგავდა, ამის პირობას მე გაძლევთ. ბიუჯეტის ფულის უამრავი გაფლანგვები აქვს. ალბათ ვიღაცა „ეპატხალიმა“ და გაზის კომპანიამ შეიყვანა „ლევი“ მილი და ფულს არ უხდიდა. თორემ 100 წელი არ ადარდებს სააკაშვილს არც საქართველოს და არც უკრაინის ბიუჯეტი.

– ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილი რომ აცხადებს, ოლიგარქებისაგან ქვეყნები უნდა გათავისუფლდესო, ამ დროს თვითონ იქცევა ისე უღირსად, გაგიკვირდება, თვითონ კანონის უფრო დიდი დამრღვევია, ვიდრე ისინი, რომლებზეც ლაპარაკობს.

– ეგ თავისთავად ასეა. ვინმეს თუ კიდევ სჯერა, სააკაშვილი რასაც ამბობს და ის ნამდვილად სწამს, ის ადამიანი ნამდვილად ცოდვაა. სააკაშვილს რაც სჭირდება თავის გასატანად და თავისი პოლიტიკის გასატარებლად, იმას ამბობს.

– უკრაინის გენპროკურორის გამოსვლებში პირდაპირ იყო საუბარი სააკაშვილის რუსეთთან კავშირზე. როგორ ფიქრობთ, ახლა უკრაინაში რუსეთს სააკაშვილი სჭირდება?

– საქმე ისაა, რომ თუ სააკაშვილი ასე გააგრძელებს მოქმედებას, უკრაინა საერთოდ დაიშლება. უკრაინის დაშლა მარტო რუსეთს კი არ აწყობს, არამედ ძალიან ბევრ სუბიექტს. უნგრეთი თავისას წაიღებს, პოლონეთი თავისას წაიღებს, რუსეთი თავისას და უკრაინა დაიშლება.

– სააკაშვილსა და მის მომხრეებს კიევში ბარიკადების აგების რამდენიმე მცდელობა ჰქონდათ. ერთხელ ააგეს ბარიკადები და მოაწყვეს სისხლისღვრა მაიდნის სახით. ასეთი რამ კიდევ რომ მოხდეს, რა შედეგებს მოიტანს?

– მესამე რევოლუცია გამოდის.

– წინა მაიდანმა ყირიმის რუსეთთან მიერთება და დონბასის პრობლემები გამოიწვია. ახალი ბარიკადები რას მოიტანს?

– ის, რაც გითხარით. უკრაინის დაშლას გამოიწვევს. ამდენ დარტყმას ვერ გაუძლებს ძველი სახელმწიფოებრიობის ქვეყანაც კი, მით უფრო, უკრაინა.

– როდესაც უკრაინიდან ბირთვული იარაღი გაჰქონდათ, რამდენიმე დიდი ქვეყანა დაუდგა თავდებად, რომ მის უსაფრთხოებას დაიცავდა. მათ შორის, რუსეთი და მსოფლიოს ქვეყნები დაუდგნენ უკრაინას დაცვის გარანტად. რუსეთი ებრძვის, მაგრამ დასავლეთის ქვეყნები უკრაინის დაშლას დაუშვებენ?

– დასავლეთის ქვეყნებს თავისი ინტერესები აქვთ. როგორ არ დაუშვეს, რომ ყირიმი დღეს რუსეთის შემადგენლობაშია, როგორ არ დაუშვეს, რომ დონბასი და ლუგანსკი, ფაქტობრივად, დაუმორჩილებელი რეგიონებია. დასავლეთიც თუ ვინმეს ყოვლისშემძლე ჰგონია, ეშლება. დასავლეთის ქვეყნები ორიენტირებული არიან, პირველ რიგში, თავიანთ სახელმწიფო ინტერესებზე, მათ დაცვაზე და მხოლოდ შემდეგ შეიძლება იფიქრონ ისეთ ქვეყნებზე, როგორიც უკრაინა და საქართველოა. უკრაინა მიიღებს სიტყვიერ მხარდაჭერას, მაგრამ რეალურად ვერაფერს შეცვლის.

– ნაცები აცხადებენ, რუბიკონი გადალახულია და ვიწყებთ გადამწყვეტ ბრძოლასო. რა შეგიძლიათ თქვათ ნაცების ახალ ბრძოლაზე?

– რისთვის იწყებენ გადამწყვეტ ბრძოლას, უკრაინისთვის თუ იწყებენ, ეს არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის პოლიტიკური მიზანი. ამას შეერთებული შტატებიც კი არ ამბობს ხმამაღლა, მიუხედავად იმისა, არაერთი ხელისუფლება შეუცვლია. აქ თუ აპირებენ რაიმეს შეცვლას, ყველაფერი შედეგის მიხედვით განისაზღვრება. გადამწყვეტი ბრძოლა თავის დროზე გამოაცხადა სააკაშვილმა შევარდნაძის წინააღმდეგ, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ერთსა და იმავე წყალში ორჯერ შესვლა შეუძლებელია.

– გასაგებია, მაგრამ ახლა სააკაშვილი ხომ შედის მეორედ კი არა და მერამდენედ იმ წყალში? ყოველ შემთხვევაში, ჰგონია, რომ გაიმარჯვებს. მე დაუმარცხებელი ლიდერი ვარო. ნეტა თუ მართლა?

– სააკაშვილი უკვე მერამდენედ დამარცხდა, მაგრამ თუ კაცი ვერ ხვდება, რომ დამარცხდა, მას ვერაფერს აუხსნი და ვერ გააგებინებ.

– რატომ არის ვალდებული საზოგადოება, ასეთი ხალხი აიტანოს და უყუროს მათ ქმედებებს?

– საზოგადოება არ არის ვალდებული აიტანოს, მაგრამ ეს საზოგადოებაც ფრაგმენტირებულია. ზოგი საერთოდ იმედგადაწურულია და არაფრის გაგონება არ უნდა.

– აბა, ნაციონალებს რომ ჰგონიათ, ხელისუფლებაში ისევ დაბრუნდებიან, ეს როგორ გავიგოთ?

– ან ჰგონიათ, ან – არა. არარაობებმა ნაცმოძრაობისა და პირადად სააკაშვილის მეშვეობით საუკეთესო პირობები შეიქმნეს, ახლა უნდათ აღიდგინონ ეს პირობები, მაგრამ აღარ გამოვა.

– სააკაშვილმა კიევში განაცხადა, რომ ახალი ძალა, ენერგია შეიძინა ამ დღეებში იმ მოვლენებით, რაც გუშინ ვითარდებოდა. სადამდე შეძლებს თავის გატანას?

– თუ რამე შეიცვალა უკრაინაში, იმით ტიმოშენკო ისარგებლებს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში სააკაშვილი. მისი და ნაციონალების რესურსები მილევადია.

მიხეილ სააკაშვილი უკრაინის შს სამინისტროს საიტზე ძებნილთა სიაში შეიყვანეს

„ახალი ძალების მოძრაობის“ ლიდერი და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის შს სამინისტროს საიტზე ძებნილთა სიაში შეიყვანეს. შესაბამისი



ჩანაწერი ძებნილთა ბაზაში დღეს განთავსდა.

საიტზე მითითებული ინფორმაციის თანახმად, ის ძებნაში 5 დეკემბერს გამოაცხადეს.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ძებნაში უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლითაა გამოცხადებული, – ამის შესახებ უკრაინის გენერალური პროკურატურის პრესმდივანმა ლარისა სარგანმა განაცხადა.

– სააკაშვილი ძებნაშია გამოცხადებული და ის ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში, რომელიც გათვალისწინებულია უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით, 28-ე მუხლის მეორე ნაწილით და 256-ე მუხლის მეორე ნაწილით, – განაცხადა გენერალური პროკურატურის პრესმდივანმა.

შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილი ეჭვმიტანილია შემდეგი მუხლებით: დანაშაულის მცდელობა; პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული წინასწარი შეთანხმებით; დანაშაულებრივი ორგანიზაციის მონაწილეებისთვის დახმარების გაწევა და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვა.

მიხეილ სააკაშვილის ძებნას ახორციელებს ეროვნული პოლიცია და უკრაინის უსაფრთხოების სამსახური.

უკრაინის გენერალური პროკურორი: „სააკაშვილს დავაკავებთ“

იური ლუცენკო იმედგაცრუებულია მიხეილ სააკაშვილის დაკავების ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო. ამის შესახებ იური ლუცენკომ უკრაინის პარლამენტის სხდომაზე დეპუტატების კითხვებზე პასუხის გაცემისას განაცხადა.

– ჩვენ შეგვეძლო უფრო ეფექტურები ვყოფილიყავით. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ის 12 თანამშრომელი, რომელსაც გუშინ სააკაშვილი დასაკითხად გადაჰყავდა, ანტიტერორისტული ოპერაციის მონაწილეები არიან, რომლებმაც ბრძოლები გაიარეს და კანონის მიხედვით ცეცხლი უნდა გაეხსნათ, – განაცხადა გენერალურმა პროკურორმა.

თუმცა, იური ლუცენკომ აღნიშნა, რომ ხელისუფლება სახელმწიფოზე ფიქრობს, ხოლო

– სააკაშვილი მოტყუებული და კურჩენკოს ფულით ნაყიდი ხალხის ზურგს უკან მიმალვით პირად კომფორტზე ფიქრობს.

ჩვენ მომავალშიც ვიფიქრებთ სახელმწიფოზე, ზოგჯერ ჩვენ ხელთ არსებული უფლებების გამოუყენებლობით, თუმცა სააკაშვილი დაკავებული იქნება, – დასძინა მან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ცხინვალმა ყაზბეგი აღმოსავლეთ ოსეთად გამოაცხადა და მის მიერთებას ითხოვენ

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალის ხელისუფლება ახალ სიურპრიზს გვთავაზობს და აღმოსავლეთ ოსეთზე აცხადებს პრეტენზიას. აღმოსავლეთ ოსეთი. მათი თქმით, თრუსოს ხეობაა, რომელიც ყაზბეგის რაიონს ეკუთვნის.

ეს ტერმინი ორგანიზაცია „დარიალმა“ დაამტკიცა, რომელიც ყაზბეგის რაიონს აქამდე ცენტრალურ ოსეთად მოიხსენიებდა. „დარიალის“ ლიდერებს კარგა ხანია თრუსოს ხეობაზე უკაწკაწებთ კბილები. მათ გაეროსაც კი მისწერეს წერილი, რუსეთის ხელისუფლების შეწუხება არ სჭირდებათ – ეს ორგანიზაცია მათ მიერ არის შექმნილი.

ეტყობა, ახლა მათი გააქტიურება გადაწყვიტეს. „დარიალის“ თავკაცები ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის პრეზიდენტმა ანატოლი ბიბოლოვმა მიიღო. ამ შეხვედრის შემდეგ, ცხინვალის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ აღმოსავლეთ ოსეთიდან ოსური მოსახლეობა მთლიანად არის განდევნილი.

ამავე განცხადებაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ ოსეთი, რომელიც ავტონომიის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა, ქართული ექსპანსიის იოლი ნადავლი გახდა.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის საგარეო საქმეთა სამინისტრო ირწმუნება, რომ ოფიციალური თბილისი ზღუდავს ამ ტერიტორიაზე იმ ოსების დაბრუნებას, რომლებიც წარმოშობით ყაზბეგის რაიონიდან არიან.

ცხინვალის საგარეო უწყება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ყურადღებას არ აქცევს ამ პრობლემას.

დუშეთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი ამ განცხადებას სისულელეს უწოდებს. ამასთან მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეს ასე არ უნდა გაატაროს.

გიორგი ლაფანაშვილი: „გაზაფხულიდან პროვოკაციებს უნდა ველოდოთ“

– ყველამ კარგად ვიცით როგორ მზადდებოდა საქართველოსთვის მიწების წართმევა. ვიღაცებს ჯერ რაღაც განცხადებებს აკეთებინებდნენ, შემდეგ კი მოქმედებებზე გადადიოდნენ. შესაძლოა ახლაც ამასთან გვქონდეს საქმე, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ლაფანაშვილი.

მისი თქმით, ხელისუფლებამ კარგად უნდა შეაფასოს ის რისკები, რომლის წინაშეც შესაძლოა ყაზბეგის რაიონი აღმოჩნდეს. ის მიიჩნევს, რომ თბილისმა საერთაშორისო თანამეგობრობასთანაც აქტიურად უნდა იმუშაოს.

– ცხინვალის ხელისუფლება რუსეთის დახმარებით უკვე გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე. ვხედავთ, რომ მათი საგარეო საქმეთა მინისტრი მედოევი თავისუფლად დასეირნობს ევროპარლამენტში. ხვდება და ესაუბრება ევროპელ პოლიტიკოსებს. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, რა ინფორმაციებს მიაწვდიან ისინი ევროპელებს.

სანამ ევროპა იმაში დაურწმუნებიათ, რომ აღმოსავლეთ ოსეთიც არსებობს, ჩვენმა ხელისუფლებამ განმარტებები უნდა გააკეთოს. ოფიციალურად უნდა ითქვას, რომ თრუსოს ხეობიდან ოსები არავის არ გაუდევნია. ისინი იქედან საკუთარი ნებით გასული საუკუნის 70-იან წლებში წავიდნენ. მაშინ არანაირი დაძაბულობა და კონფლიქტი არ ყოფილა. ეს ხალხი ჩრდილოეთ ოსეთში იმიტომ წავიდნენ, რომ იქ ცხოვრების უკეთესი პირობები იყო, – ამბობს ლაფანაშვილი.

მისი თქმით, აღმოსავლეთ ოსეთის ავტორებს აუცილებლად უნდა გავახსენოთ, როგორ ითხოვდა ჩრდილოეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში შესვლას.

– გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლესმა საბჭომ მოსკოვს წერილით მიმართა და სთხოვა, რომ მათი რესპუბლიკა ავტონომიის სახით საქართველოს შემადგენლობაში შესულიყო. ისინი თვლიდნენ, რომ ოსები საქართველოში უფრო ინარჩუნებდნენ თვითმყობადობას, ვიდრე რუსეთში, – აცხადებს დუშეთის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე.

ის პროვოკაციებს გაზაფხულისთვის ელოდება. ლაფანაშვილი მიიჩნევს, რომ სპეცსამსახურებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს.

– პროვოკაცია ბევრი მიმართულებით შეიძლება მოეწყოს. რუსეთთან ჩვენ ცალმხრივად გვაქვს სავიზო რეჟიმი გაუქმებული. რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში უპრობლემოდ შეუძლიათ შემოსვლა. რუსეთის მოქალაქეები არიან ისინიც, ვინც ათეული წლების წინ თრუსოს ხეობაში ცხოვრობდა. ისინი ყოველ ზაფხულს მოდიან საქართველოში, აქამდე პრობლემები არ შეუქმნიათ. ახლა ყველაფერია მოსალოდნელი, – ამბობს ლაფანაშვილი.

ამ მიმართულებით წელს უკვე გაჩნდა პრობლემა. აგვისტოს თვეში საქართველოს საზღვარზე მოსულმა რამდენიმე ათეულმა ადამიანმა ჩვენს მესაზღვრეებს განუცხადა, რომ ისინი საქართველოს მიერ ოკუპირებული ტერიტორიაზე წინაპართა სალოცავების მოსალოცად მიდიოდნენ.

მესაზღვრეებმა პროვოკატორები უკან გააბრუნეს. აღსანიშნავია, რომ მომლოცველთა რიგებში ძირითადად „დარიალის“ წევრები იყვნენ.

ლაფანაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი პროვოკაციები მომავალშიც იქნება. ის პროვოკაციებს არც ჯავის რაიონიდან გამორიცხავს.

ჯავის რაიონი დღეისთვის რუსეთის მიერაა ოკუპირებული და ის თრუსოს ხეობას ესაზღვრება. ჯავაში რუსი სამხედროები დგანან.

გიორგი ლაფანაშვილის თქმით, ყაზბეგის გარდა, ხელისუფლებამ დუშეთის მიმართულებითაც უნდა გამოიჩინოს ყურადღება. კონფლიქტის ზონას დუშეთიც ესაზღვრება.

„მღებრიშვილისგან ახალ ჯანელიძეს და ჭიკაიძეს ქმნით“

შორენა მარსაგიშვილი

საკანონმდებლო ორგანო მთავრობის სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე მსჯელობს. სტრუქტურული ცვლილებების გატარების პირობა მათ არჩევნების წინ დადეს. რამდენიმე სამინისტროს გაუქმებაც დააანონსეს, თუმცა ბოლო მომენტში ყველას ვერ შეელივნენ.

გუშინ, 6 დეკემბერს, პარლამენტმა მთავრობის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო.

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი 99 კანონპროექტისგან შედგება, რომლის მიხედვითაც რამდენიმე სამინისტრო ერთიანდება. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალგაზრდობის კომპონენტი უერთდება. სპორტული ნაწილი კი კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის.

სტრუქტურული ცვლილებებით, უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო გაუქმდა, რომელიც მთავრობის მეთაურის დაქვემდებარებაში იყო. ახლა პრემიერს სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება დაექვემდებარება და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შეიქმნება.

ბევრი ხმაური მოჰყვა გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმებას. ცვლილებების მიხედვით, გარემოს დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროს უერთდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში კი, ენერგეტიკის სამინისტრო ერთიანდება. ეკონომიკის სამინისტროში შედის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების ნაწილი.

დაგეგმილი იყო სუსის და დაზვერვის გაერთიანებაც. რამდენიმე დღის წინ ხელისუფლებამ ამ გაერთიანებაზე უარი თქვა. შესაბამისად, ამ ორი სამსახურის გაერთიანების ინიციატივა დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ოპოზიცია ამ ცვლილებებით უკმაყოფილოა. პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია ამბობს, რომ ისინი მთავრობის ოპტიმიზაციის შესახებ კანონპროექტების კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ადა მარშანიას შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გამოსავლად პრემიერის გადადგომა მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ ალიანსი გიორგი კვირიკაშვილის გადადგომას სექტემბრიდან ითხოვს.

– ჩვენ, პატრიოტთა ალიანსს, გვინდა, რომ ქვეყანაში დაიწყოს მძლავრი პროტესტი. ყველამ ერთად, ამ ქვეყნის შვილებმა უნდა დავიწყოთ პროტესტი. ეს ჩვენი სამშობლოა, ჩვენი ქვეყანა. ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენ თავს. სამი წელი კი არ უნდა ველოდოთ და უსაქმური მთავრობა დროზე უნდა გავუშვათ. მე საერთოდ არ მიკვირს, რომ პრემიერ-მინისტრი არ მოვიდა აქ. ეს არის პატარა დეტალი, რატომაც უნდა გადადგეს ბატონი კვირიკაშვილი. ინამუსოს, გადადგეს და დაუბრუნდეს თავის ბანკს. არ არის ეს ადამიანი იმ დონის და ბიოგრაფიის, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყოს. ეს არის ჩვენი პოზიცია. შესაბამისად, ჩვენ მონაწილეობას არ ვიღებთ არც კენჭისყრაში, – განაცხადა პარლამენტის სხდომაზე ადა მარშანიამ.

მთავრობის რესტრუქტურიზაციის გეგმით „ევროპული საქართველოც“ უკმაყოფილოა. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ნადირაშვილი მიიჩნევს, რომ ეს ცვლილებები არც ხელისუფლებისთვის არის საინტერესო. ამის დასტურად მას პარლამენტის ცარიელი სხდომათა დარბაზი მიაჩნია.

ნადირაშვილი მიიჩნევს, რომ მთავრობამ გაუაზრებლად შეიმუშავა ცვლილებები. მის განსაკუთრებულ რისხვას გიორგი მღებრიშვილი იწვევს.

– რამდენიმეწლიანი ჩიჩინის შემდეგ თქვენ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ გარკვეული რეორგანიზაცია ჩაატაროთ. ჩემი აზრით, ეს იყო აბსოლუტურად გაუაზრებელი პროცესი, რადგან თქვენ დღემდე არ გაქვთ ზუსტი და ნათელი პასუხები იმაზე, ზუსტად რა მცირდება, რამდენით მცირდება, როგორი იქნება ბიუროკრატიული ხარჯები მომავალში და ამ კითხვებზე ჩვენ პასუხი დღესაც ვერ მოვისმინეთ.

ის, თუ როგორი ენთუზიაზმით ეკიდებით ამ ცვლილებას, ჩანს თუნდაც იმ ცარიელი დარბაზიდან, რომელსაც მე ახლა ვუყურებ. გასაგებია, რომ თქვენ ეს ცვლილებები ნამდვილად არ გეხალისებათ. რაც შეეხება ამ ცვლილებების განხორციელებამდე პერიოდს, მე მაინტერესებს, ვინ აგებს პასუხს იმ ცვლილებებზე, რომელიც იყო დაშვებული. თავის დროზე, როცა თქვენ შექმენით კრიზისების მართვის საბჭო, ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო ერთადერთი ნიშნით, მაშინ არ ეთანხმებოდით პრეზიდენტ მარგველაშვილს, როგორც ახლა არ ეთანხმებით. არაფერი შეცვლილა და გინდოდათ პარალელური სტრუქტურის შექმნა. ეს სტრუქტურა გააკეთეთ, ეს იყო მექანიკური ცვლილება და სამი წლის განმავლობაში 16 მლნ ლარი დაიხარჯა კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის შენახვაზე, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

დეპუტატის განმარტებით, კრიზისების მართვის საბჭოს მდივან მინდია ჯანელიძის ხელფასი 7.975 ლარი იყო. მისი მოადგილე ალექსანდრე ჭიკაიძე კი გასამრჯელოს სახით 5.975 ლარს იღებდა. ჯანელიძის მეორე მოადგილე გიორგი ზედელაშვილის ხელფასი 6.000 ლარი იყო.

– რაში ვუხდიდით ამ ადამიანებს ამხელა ფულს. ყველა კრიზისულ სიტუაციაში ამ საბჭომ მაქსიმალურად შეირცხვინა თავი, – აღნიშნა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

როგორც უკვე ვთქვით, ნადირაშვილი მღებრიშვილზეა განრისხებული. დეპუტატის თქმით, ყოფილი შს მინისტრისგან ახალი ჯანელიძე და ჭიკაიძე იქმნება.

– ახლა მღებრიშვილისგან ქმნით ახალ მინდია ჯანელიძეს და ახალ ჭიკაიძეს. 82 მლნ გამოყავით და შექმენით ახალი სამსახური ამ ადამიანისთვის. არ ვიცი ჭიკაიძე – ზედელაშვილი როგორ გააგრძელებენ მუშაობას, მაგრამ მაინტერესებს მღებრიშვილის საკითხი. მან ბევრი შეცდომა დაუშვა, კითხვებზე პასუხები არ მიგვიღია.

მღებრიშვილი არის ჩვეულებრივი „მაოხრებელი გზირი“, რადგან, როცა შს სამინისტროდან წავიდა, ჩატაევი უკვე საქართველოში იყო და მას არც ერთი განცხადება არ გაუკეთებია, – აღნიშნა დეპუტატმა.

ნადირაშვილის მიერ შერისხულმა მღებრიშვილმა კრიზისების მართვის საბჭოში საკადრო ცვლილებები განახორციელა.

„ინტერპრესნიუსის“ ცნობით, შალვა ხუციშვილის გარდა, მღებრიშვილს კრიზისების მართვის საბჭოში შინაგან საქმეთა სამინისტროდან მისი კიდევ ერთი ყოფილი მოადგილე დავით ვარდიაშვილი გადაჰყავს. ვარდიაშვილიც, ისევე, როგორც ხუციშვილი, კრიზისების მართვის საბჭოშიც მღებრიშვილის მოადგილის თანამდებობებს დაიკავებენ.

მღებრიშვილის მიერ განხორციელებული საკადრო ცვლილებების ფარგლებში თანამდებობები უკვე დატოვეს კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მოადგილეებმა ალექსანდრე ჭიკაიძემ, ლევან ღირსიაშვილმა, გიორგი ზედელაშვილმა და კახა ოქროჯანაშვილმა.

ვოლსკი: „სააკაშვილის ქმედებები რუსეთს აწყობს“

– ავანტიურისტი სააკაშვილის ქმედებები, რასაკვირველია, რუსეთს აწყობს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას გააკეთა.

– გავიხსენოთ, რას აკეთებდნენ ბელარუსში და როგორ აწყობდნენ რევოლუციას. ასევე გაიხსენეთ, რა პროცესები განვითარდა უკრაინაში, როცა ტიმოშენკოს არჩევნები იყო. შემდეგ, რუსეთის სპეცსამსახურებმა ეს ყველაფერი როგორ ჩაიწერეს და საბოლოოდ დაზარალებული ვინ აღმოჩნდა...

მნიშვნელოვანი თემა, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ, ის არის, რომ ამ ხნის განმავლობაში, რუსული მედიასაშუალებებიდან სააკაშვილის განდიდების სიუჟეტები არ მოხსნილა. დასკვნას არ ვაკეთებ, გიყვებით, რა ხდება, – განაცხადა ვოლსკიმ.

მამუკა არეშიძე: „სააკაშვილი უნიჭიერესი ადამიანია პიარის და პოლიტიკური ინტრიგის თვალსაზრისით“

ნონა ცაბაძე

უკრაინაში მიმდინარე პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე აფასებს.

– ბატონო მამუკა, კეთდება შეფასებები, რომ სააკაშვილი უკრაინაში რუსეთის დაკვეთებს ასრულებს. რას იტყვით თქვენ?

– შეიძლება ეს ერთი მხრივ მართალიც იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, ყოველთვის ვამბობდი და დღესაც ვიტყვი, რომ პოროშენკოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აქამდე მიეყვანა საქმე. უამრავი შეცდომა დაუშვა. ამიტომ მარტო რუსეთს ან სააკაშვილს ვერ დავადანაშაულებთ ამაში.

ბევრი რამ, რაც ხდება, არის პოროშენკოს პირადი დამსახურება. მისი არასწორი და გაუაზრებელი პოლიტიკის. ჯერ ერთი, ამდენი ხანია, მისი მოკავშირეები, ამერიკელები სთხოვენ, რომ შექმნას ანტიკორუფციული სამსახური. რა გახდა ამის შეუქმნელობა?! ყველანაირად წინააღმდეგობას უწევს.

– დაანონსდა, რომ შეიქმნება.

– ბოლოს და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ულტიმატუმური ფორმით მოსთხოვა და დეკემბრის 17-ში უკვე კეთდება ეს უწყება. გარდა ამისა, ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსეთთან, მუდმივად რუსეთის გინებაში იყო და მისი საკონდიტრო ქარხანა რუსეთის ტერიტორიაზე ბოლო დრომდე მუშაობდა, ვიდრე პუტინმა არ დახურა. ვერ შეელია მას.

გარდა ამისა, ოლიგარქებზე დაყრდნობა, მათთან მეგობრობა კორუფციის უმაღლესი დონეა. პოროშენკოს გარემოცვა შედგება ამ ადამიანებისგან. ეს კორუფცია განსაკუთრებით შესამჩნევია სამხედრო სექტორში. პოროშენკო ერთი ხელით ებრძვის რუსეთს და იქ იმყოფებიან ახალგაზრდა უკრაინელი ბიჭები და მეორე ხელით პრაქტიკულად ვაჭრობს იმ იარაღით, რომელიც ამ ახალგაზრდებს უნდა მიეწოდებოდეს. მოკლედ, ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა.

– სააკაშვილი სათავისოდ იყენებს პოროშენკოს შეცდომებს?

– სააკაშვილის კავშირებზეც საუბრობენ ოლიგარქებთან, მაგრამ ის არის ოპოზიციაში და მისი ქმედება უკრაინელი ხალხის სოციალურ მდგომარეობაზე არ მოქმედებს. პოროშენკოსი კი მოქმედებს. ის, რომ სააკაშვილი არის პიროვნება, რომელიც ნებისმიერ სიტუაციას გამოიყენებს და ნებისმიერ ადამიანს გამოიყენებს, რომ მიზანს მიაღწიოს, საქართველოს მოვლენებმა 2003 წელს დაამტკიცა. ასე რომ, არაფერი გასაოცარი და განსაკუთრებული არ არის, ჩვენთვის პირადად.

– მისმა დაკავებამ და შემდეგ თავის დაღწევის პროცესმა რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ? აქ ხომ არ იყო შოუს ელემენტები?

– ნამდვილად იყო აქ დადგმის ელემენტები. რად უნდა ამას დიდი განსჯა. ამ პროცესმა გვაჩვენა, რომ ან სამართალდამცავი ორგანოები არ ექვემდებარებიან პროკურატურის და პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, ან არაფრის მაქნისები არ ყოფილან არც ნაციონალური გვარდია და არც პოლიცია! ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სპეციალურად გააჩერეს მანქანა, რომ მომიტინგეები მოგროვებულიყვნენ და სააკაშვილი იქიდან დაეხსნათ.

– რჩება შთაბეჭდილება, რომ ვერ ბედავენ მის დაკავებას. თქვენ დაგრჩათ ასეთი შთაბეჭდილება?

– პოროშენკოს მომხრე ასეთ დასკვნას გააკეთებს, რომ სპეციალურად მიუშვა პროცესი იმისთვის, რომ სააკაშვილს დამატებოდა ბრალეულობა. დასავლეთში ძალიან მწვავედ განიცდიან პოლიციისადმი დაუმორჩილებლობას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ დასავლური ორიენტაციის ერთ-ერთმა თვალსაჩინო ჟურნალისტმა განაპოლსკიმაც კი, რომელიც სააკაშვილის მომხრედ ითვლებოდა ყოველთვის, გუშინ განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა მისცეს სააკაშვილმა პოლიციას ჩვენება, სასამართლოშიც უნდა გამოცხადდეს და საერთოდ პოლიციას უნდა დამორჩილებოდაო.

სწორედ ამიტომ პოროშენკოს მომხრე იტყვის, რომ სპეციალურად მიიყვანა პოროშენკომ სიტუაცია იქამდე, რომ სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს.

– დაუმძიმონ ბრალი?

– დიახ, რაც შეიძლება დაუმძიმდეს ბრალი სააკაშვილს. ეს ერთი მხარეა. მეორე მხარეა, რომ ერთი მხრივ ურეიტინგო პოლიტიკოსს რეიტინგი შეუქმნეს. გაუბედავად მოქმედება ამ ეჭვებს აჩენს.

იქ საკმაოდ დაპირისპირებაში იმყოფება ერთმანეთთან უკრაინის უშიშროების საბჭო და შინაგან საქმეთა სამინისტრო. იქ ვერ გაარკვიეს წილების ამბავი და წილების ამბავს ეწირება უკრაინის დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება. სააკაშვილი კი ამ ყველაფერს სათავისოდ იყენებს. ის უნიჭიერესი ადამიანია პიარის და პოლიტიკური ინტრიგის თვალსაზრისით. ხაზს ვუსვამ – უნიჭიერესი! იქამდე მივიდა საქმე, რომ ჟირინოვსკიმაც დაიცვა გუშინ სააკაშვილი.

დავით ზურაბიშვილი: „სააკაშვილი უკრაინის ლიდერი ვერ გახდება“

ნათია ხურცილავა

„საქართველოში მას პერსპექტივა არ აქვს“

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უკრაინაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, როგორ აფასებთ სააკაშვილის ირგვლივ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესს, ამ ეტაპისთვის სააკაშვილმა პოროშენკოს მოუგო?

– პოროშენკოსთვის მაგას სულ მოგებული აქვს. სააკაშვილის პოლიტიკური ფიგურის მიმართ არანაირი სიმპათია არ მაქვს. საქართველოს მიმართ ძალიან არაადეკვატურია. სააკაშვილი საქართველოსთვის წარსულია, მაგრამ უკრაინისთვის, მისი პოლიტიკური კლასიდან გამომდინარე, პოლიტიკური ტექნოლოგიის მხრივ, ის ბევრად მაღლა დგას პოროშენკოზე და საერთოდ უკრაინელ პოლიტიკურ ლიდერებზე. უკრაინის ხელისუფლება მისდა უნებურად ყველანაირად ხელს უწყობს სააკაშვილს, რომ პოპულარობა მოუმატოს – თავისი უნიათობით, უხერხემლობით, თავისი სისუსტით, დაუსაბუთებელი ბრალდებებით.

საზღვარზე არ შემოვუშვებთო, მაგრამ შემოვიდა, მერე დავიჭერთო, სახურავიდან ჩამოათრიეს, დაიჭირეს, მაგრამ დაჭერილი მანქანიდან გამოექცათ. ამას ადამიანი რომ უყურებს, რასაკვირველია, ჩათვლის, რომ მიშა მაგარია და ხელისუფლება სუსტია.

– სახელმწიფო გადატრიალების ბრალდება აქვს წაყენებული და ძებნაა გამოცხადებული, მაგრამ სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი შენობის წინ ბრიფინგს მართავს, რასთან გვაქვს საქმე?

– სახელმწიფო გადატრიალება და მსგავსი ბრალდებები ძალიან ცუდად ჟღერს. მაგონდება, სააკაშვილი ჩვენ რომ გვაბრალებდა სახელმწიფო გადატრიალებას. ძალიან ხშირ შემთხვევაში, თუ ძალიან არგუმენტირებული არ არის ეს ბრალდება, ხშირად ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორების მცდელობა. ძალიან სუსტია უკრაინის ხელისუფლება. აშკარაა, რომ ვერ ბედავს ბოლომდე ავტორიტარული მეთოდების გამოყენებას და ვერც დემოკრატიული გზით ახერხებს სააკაშვილისთვის თავისი ადგილის მიჩენას.

ამ ფონზე არაადეკვატური ჩანს ეს ყველაფერი: ჯერ თქვეს, რომ სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდა და ამიტომ ვიჭერთო, შემდეგ, რომ ვერ დაიჭირეს, თუ დაიჭირეს და გამოექცათ, ახლა შინაპატიმრობას ვუსჯითო. თუ სახელმწიფო მოღალატეა და ქვეყანას აქცევდა, მაშინ შინაპატიმრობა რა შუა შია?! ძალიან არადამაჯერებელია უკრაინის ხელისუფლება სააკაშვილის მიმართ.

– შეიძლება სანქციები მოჰყვეს ამას უკრაინისთვის?

– არა მგონია.

– სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე გააკეთა განცხადება.

– გასაგებია, მაგრამ ცალსახაა, ყველა გრძნობს, რომ დამაჯერებელი არ არის უკრაინის ხელისუფლება მის მიმართ. მე ძალიან ეჭვის თვალით შევხედავდი, საერთოდ რამდენად შეუძლია უკრაინის ხელისუფლებას ამ ყველაფრის შემდეგ ქვეყნის მართვა.

– გამოდის, სააკაშვილმა პოროშენკოს ხელისუფლება შეარყია?

– შეარყია, რასაკვირველია, მიტინგებს უმართავს, პრობლემები შეუქმნა, მეტი რა უნდა ქნას.

– მაიდანს მოაწყობს? ფაქტიურად რევოლუციას სთავაზობს უკრაინელებს.

– დიახ, მართლაც მას აქვს პოლიტიკური ოსტატობა და უნარი, მით უფრო პოროშენკოსთან შედარებით – ცა და დედამიწაა, მაგრამ რამდენად შეძლებს, რომ უკრაინის ლიდერი გახდეს, ამაში ეჭვი მეპარება. პოროშენკოს ოპოზიცია სააკაშვილს კარგი თვალით არ ყურებს, სააკაშვილი ძალიან ენერგიულია და პოროშენკოც ზედმეტად დიდ ყურადღებას უთმობს, ეს სააკაშვილს აძლიერებს, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციებში საკმაოდ ძლიერია და კარგი პოლიტიკური ინტუიციაც აქვს, რასაც საკმაოდ კარგად იყენებს. პოლიტიკური ალღო აქვს და რაც აქვს, იმას ვერ წაართმევ.

– შეიძლება ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს?

– უკრაინის ხელისუფლებას რომ ვუყურებ, შეიძლება ყველაფერი მოხდეს. არაფერი არ გამიკვირდება, არც ვადამდელი არჩევნები და არც ის, რომ რადაში შევარდეს სააკაშვილი და იქიდან იბრძოლოს.

– „ვარდების რევოლუციის“ ექსპორტს ახდენს?

– უკრაინის სიტუაცია მართლაც ჰგავს 2002-2003 წლის საქართველოს სიტუაციას, გვიანდელი შევარდნაძის პერიოდს. ამიტომ სააკაშვილი ამ სიტუაციაში თავს ბევრად უკეთ გრძნობს. მე არ მგონია, რომ პოროშენკოს ხელისუფლებამ დიდხანს გასტანოს. შეიძლება სააკაშვილი ვერ მოვიდეს ხელისუფლებაში, მაგრამ რაღაც ცვლილებები აუცილებლად მოხდება.

– ამ ცვლილებების ერთ-ერთი ფიგურანტი იქნება და არა – ლიდერი?

– მე მაინც მგონია, რომ ერთ-ერთი ფიგურანტი იქნება და არა – ლიდერი. უკრაინაში ის იბრძოლებს.

– რასაც ცდილობს უკრაინაში, გასაგებია, მაგრამ საქართველოში რამდენად შეძლებს პოლიტიკურ რეანიმირებას?

– ყოვლად გამორიცხულია სააკაშვილის პოლიტიკური რეანიმირება საქართველოში. მას საქართველოში პოლიტიკური პერსპექტივა არ აქვს. ერთადერთი, რაც სააკაშვილს შეუძლია, არის ის, რომ არსებულ ხელისუფლებას გაუხანგრძლივოს უჩვეულოდ დიდხანს არსებობა, თუ ის კვლავ იქნება აქტუალური. აქ გაცილებით მეტია ადამიანთა ის რაოდენობა, რომელთათვისაც სააკაშვილის მმართველობა მიუღებელია. გაცილებით ნაკლებია ადამიანთა ის რაოდენობა, რომლებიც მისი გულშემატკივრები და მხარდამჭერები არიან. ვისაც სააკაშვილი ხელისუფლებაში არ უნდა, მათი რიცხვი ბევრად ჭარბობს. ამიტომ სააკაშვილი დემოკრატიული გზით ხელისუფლებაში მობრუნებას ვერ შეძლებს.

სხვა გზითაც ვერ მობრუნდება, ესეც გამორიცხულია, საქართველოში ჩვენ ეს ფაზა უკვე გავიარეთ. რევოლუციები, გადატრიალებები შეუძლებელია დღეს საქართველოში. ჩვენ განვითარების იმ ეტაპზე ვართ, როდესაც მსგავსი რამ სრულიად გამორიცხულია.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ უკრაინაში ამზადებს ნიადაგს?

– უკრაინაში სააკაშვილის წარმატება აქ მის პოზიციებს ამყარებს ხოლმე, მაგრამ ამყარებს მხოლოდ მის მხარდამჭერებში. სააკაშვილმა რაც უნდა გააკეთოს უკრაინაში, მასზე გული ვერ მოუბრუნდება იმ ადამიანებს, რომლებიც მის ხელისუფლებაში ყოფნის წინააღმდეგ იყვნენ საქართველოში. ეს შეუძლებელია. სააკაშვილის წარმატება ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველზე მოქმედებს და სხვა არავისზე. თანაც იმ ამომრჩეველზე, რომელიც აშკარად გაიყო და ეს კარგად გამოჩნდა ბოლო არჩევნებზეც.

ნაციონალური მოძრაობის ლიდერების უმრავლესობა „ევროპულ საქართველოში“ წავიდა, არავინ დარჩა იქ, გარდა მიხეილ სააკაშვილისა. სწორედ ამ ხალხში შეიძლება სააკაშვილმა პოზიციები დაიბრუნოს და არა მათში, რომლებისთვისაც სააკაშვილი მიუღებელი იყო ყოველთვის

1 იანვრიდან ოქროსფერი 50-თეთრიანი მონეტის გამოყენება შესაძლებელი აღარ იქნება

2018 წლის 1 იანვრიდან, სავაჭრო და ნაღდი ფულით მომსახურების ობიექტები ანგარიშსწორების მიზნით ოქროსფერ 50-თეთრიან მონეტას აღარ მიიღებენ.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2019 წლის 1 იანვრამდე 50 თეთრიანის ნომინალური ღირებულებით გამოცვლა შესაძლებელი იქნება ნებისმიერ კომერციულ ბანკსა და საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში.

– 2018 წლიდან, ერთი წლის განმავლობაში, ძველი 50 თეთრიანის ნომინალური ღირებულებით გამოცვლა შესაძლებელი იქნება ნებისმიერ კომერციულ ბანკსა და საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან – მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში. აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2006 წლიდან მიმოქცევაში გაუშვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დამზადებული და ხარისხობრივად მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული 50 თეთრის ნომინალის ახალი მონეტა, რომელიც წარმატებით დამკვიდრდა მიმოქცევაში, – განმარტავენ სებ-ში.

თბილისში ტროტუარებზე ავტომობილების პარკირების კიდევ 101 ადგილი გაუქმდა

ქვეითების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის თბილისის მთავრობამ ტროტუარებზე ავტომანქანების პარკირების კიდევ 101 ადგილის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, – ამის შესახებ თბილისის მერია იუწყება.

მათივე ცნობით, ტროტუარებზე ავტომანქანების პარკირების ყველაზე მეტი ადგილი შემცირდა: გრიგოლ რობაქიძის გამზირის კორპუს 2ა-2ბ-სთან – 21 ერთეული და ვაჟა-ფშაველას გამზირის №30-ის მიმდებარედ – 23. სულ ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ ტროტუარებზე ავტომანქანების დგომის 65 ადგილი შეიზღუდა. ასევე, ჭავჭავაძის №37-თან ტროტუარებზე პარკირების 12 ადგილი გაუქმდა. ანალოგიური ცვლილებები შეეხო ყაზბეგის გამზირის №9ა-ში არსებულ პარკირების სამ ადგილსაც.

უწყებაში აცხადებენ, რომ თბილისის მერია ქვეითთა უსაფრთხოების სტანდარტების ასამაღლებლად, ტროტუარებზე პარკირებას ეტაპობრივად აუქმებს. 2014 წელს ქვეითთა სავალ ზოლზე არსებული 2.200 ადგილიდან დღეისთვის, სულ 924-ია დარჩენილი.

პარალელურად, დედაქალაქის საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა უბანში, ავტომობილების 186 სადგომი ადგილი დაემატა, მათ შორის, რიყის ტერიტორიაზე – 105, წინანდლის ქუჩაზე – 30, ხოლო ვირსალაძისა და ხიდის ქუჩებზე, სადაც ამჟამად, მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, ჯამში 40 ადგილი.

უწყების ინფორმაციით, მითითებულ მისამართებზე მერია პარკირების ადგილებს შშმ პირთათვის გამოყოფს.

„როგორ მოაწყო სამმა კაცმა იარაღის საწყობი სამოთახიან ბინაში?!

შოთა მალაშხია: „ერთი ოლიგარქის მმართველობამ საქართველოში მოშალა ყველა სისტემა“

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინასა და საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.

შოთა მალაშხია:

– უკრაინაში პოროშენკოს მიმართ უკმაყოფილება იზრდება. მოსახლეობის მთავარი პრეტენზია კორუფციაა. ამდენი რევოლუციის შემდეგ უკრაინა ისევ კორუფციაში იხრჩობა. არადა, პრობლემები მარტივი გადასაწყვეტია – საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, მექრთამეობის აღმოფხვრა პასპორტების აღებისა და სხვა მომსახურების დროს.

საქართველოს წინა ხელისუფლებამ ამას ორ წელიწადში მიხედა. უკრაინაში ხალხი ძალიან მოწადინებულია, რომ სიტუაცია შეიცვალოს. ადამიანები მზად არიან ახალი ბრძოლებისათვის. ისინი გვერდით დაუდგებიან პოლიტიკოსებს, რომლებიც მათ მოთხოვნებს ახმაურებენ. ასე მოხდა 5 დეკემბერს, როცა ხალხმა დაკავებული მიხეილ სააკაშვილი სტიქიურად გაათავისუფლა.

– პოროშენკო კორუფციასთან არასაკმარისი ბრძოლის გამო ევროკავშირის ლიდერებმაც გააკრიტიკეს.

– ევროკავშირი, აშშ და უკრაინის ანტიკორუფციული სამსახური ერთად არიან, მეორე მხარეს იმყოფებიან პროკურატურა და უსაფრთხოების სამსახური. სააკაშვილი კორუფციასთან მებრძოლებს შორისაა. უკრაინის ხელისუფლებამ თავისი უტვინობით სააკაშვილს დააბრალა გაუგონარი რამ – რუსეთთან კავშირი.

– ეს გაუგონარი რამ რატომ არის? ამ მოსაზრებას საქართველოშიც ბევრი დიდი ხანია გამოთქვამს.

– ეს ტყუილი შეკვეთილი ბრალდებაა. სააკაშვილი მუდმივად ებრძვის რუსეთს. პუტინს იგი მტრად მიაჩნია. მის დროს გავიდა რუსული ბაზები.

– რუსეთის ბაზების გაყვანა საქართველოდან შევარდნაძის დროს გადაწყდა.

– დიახ, მაშინ დასავლეთმა ეს გადაწყვიტა, მაგრამ შევარდნაძე პირიქით მოიქცა და რუსული სამშვიდობოები დააკანონა. მის მაგივრად სააკაშვილი რომ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა.

– ევროკავშირი უკრაინის ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლის?

– აუცილებლად შეიცვლის. სააკაშვილი ახმოვანებს იმას, რასაც აცხადებენ ევროკავშირი და აშშ. ხალხის მოთხოვნაც ესაა. დააკავებენ სააკაშვილს თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. პროცესები დაწყებულია. მუხტი თვითონ უკრაინის ხელისუფლებამ ასწია. მსგავსი სიტუაცია გვაქვს საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან კიდევ უფრო უარესადაა საქმე.

– კერძოდ?

– უკრაინაში ბევრი ოლიგარქია, ჩვენთან – ერთი. აქაური ოლიგარქი არაფორმალური მმართველია. 2012 წლამდე მოქმედ პარლამენტს ოპონენტები ნოტარიუსს უწოდებდნენ. სინამდვილეში, ნამდვილი ნოტარიუსი ეს პარლამენტია, რომელშიც ივანიშვილის ხელის ბიჭები სხედან. შეხედეთ, რა ხდება სხვა სფეროებში – ეკონომიკასა და უსაფრთხოებაში სრული ჩავარდნაა, ლარის კურსი კატასტროფულად დაეცა, უსაშველოდ გაიზარდა კრიმინალი.

– ამ დღეებში საქართველოში მთავარი თემა სასტიკი დანაშაულის მატებაა.

– უკვირთ, საიდან ჩნდება სკოლებში კრიმინალური მენტალიტეტიო. თბილისის არჩეული მერი ვერ მალავს თავის ახლო ნაცნობობას კრიმინალურ ავტორიტეტებთან. ბავშვები ამას უყურებენ და ბაძავენ. ცალხელა და ცალფეხა ძებნილი კაცი დასახლდა ხალხმრავალ უბანში და ბინაში შეიტანა მთელი არსენალი. ეს დაუშვა ჩვენმა უსაფრთხოების სამსახურმა.

– ამ ჯგუფის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია წარმატებულად ითვლება იმის გამო, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილებმა ვერ აიყვანეს მძევლები და მსვლელობისას არ დახოცილან მობინადრეები.

– შეცდომები ოპერაციამდეც იყო. თვეობით რომ იდგნენ ამ კორპუსთან და უთვალთვალებდნენ, ეს ტერორისტებმა არ იცოდნენ? ტელეოპერატორებმა დაიკავეს სტრატეგიული ადგილები გადასაღებად. რატომ ვერ დაიკავეს ეს ადგილები სნაიპერებმა? ეს სპეცოპერაცია ომში გადაიზარდა და გარეთ გამოვიდა. მისმა დამგეგმავებმა ბევრი მიქარეს. თან, მალავდნენ რომ მათ შორის ჩატაევი იყო. თუ იცოდნენ, რატომ მალავდნენ? საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა რომ ბრიფინგი ჩაატარა, რა გვამცნო? რაში მდგომარეობდა უსაფრთხოების სამსახურის მუშაობა? რატომ არ აუხსნეს მედიას, რა შეიძლება და რა არა? როგორ აღმოჩნდა ჯგუფი საქართველოში?

სამმა კაცმა იარაღის საწყობი მოაწყო სამოთახიან ბინაში. ასეთი 4 ჯგუფი რომ განლაგდეს სხვადასხვა ადგილას, სახელმწიფოს დაამხობს. უსაფრთხოება შენობებშიც მოშლილია. ამის გამო ბათუმის სასტუმროში 10 კაცი დაიღუპა. ყველაფერი თავდაყირა დგას. ერთი ოლიგარქის მმართველობამ მოშალა ყველა სისტემა და დააბრუნა კორუფცია.

– ხალხი ამის გაპროტესტებას არ აპირებს.

– კიევშიც დამშვიდებული იყო სიტუაცია, მაგრამ მოვლენები სტიქიურად აგორდა. ხალხი რომ ჩვენშიც ძალიან უკმაყოფილოა, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. აქაც იფეთქებს. ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთის აგრესიული მოქმედებები არავის ახსოვს. ჩვენი კომისია პარლამენტში მუდმივად მუშაობდა. აფხაზეთში რუსული ბანკების მიერ ფულის გათეთრებაზე ერთი ამბავი ავტეხეთ. ახლა ეს ვინმეს აინტერესებს? პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია ამ პარლამენტში სხდომებსაც არ ატარებს.

საქართველოს სოფელი გადაარჩენს!!!

საქართველოში – აგრარულ ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის დარგის სისტემური კრიზისია: საბაზო კვების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონე საგანგაშოდ დაბალია. ქვეყნის შიდა ბაზარზე სასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია, რაც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს აქვს რეალური შესაძლებლობა და პოტენციალი, საკუთარი პროდუქციით არა მარტო გამოკვებოს საკუთარი მოსახლეობა, არამედ მნიშვნელოვნად გაზარდოს ექსპორტიც. ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესება სასიკეთოდ აისახება ქვეყნის ეკონომიკასა და მოქალაქეების კეთილდღეობაზე. ნათქვამიდან გამომდინარე გადაუდებელი აუცილებლობაა დარგში სისტემური კრიზისის დაძლევა და ქართული სოფლის აღორძინება. ამ პროცესებისადმი მხარდაჭერის მიზნით დაინტერესებულ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მიერ დაფუძნდა აიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირი“ (შემდგომში: „კავშირი“). (ს/კ 400177651, 08.06.2016 წ) „კავშირის“ წევრთა აზრით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის ადგილი და როლი კარდინალურად უნდა შეიცვალოს და კრიზისის დაძლევის კვალობაზე მათ უნდა დაეფუძნოს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს სიძლიერე, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და სასურსათო უსაფრთხოება.

დასახული მიზნის მისაღწევად, უპირველესად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე ცვლილებების დროს მის სტრუქტურაში შეიქმნას კვების მრეწველობის მიმართულება სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებულ დარგებში მომუშავე კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაციის, ნედლეულის გადამუშავებისა და რეალიზების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულების ფარგლებში უნდა განხორციელდეს ქართული სოფლის აღორძინების კომპლექსური პროგრამისა და თანამედროვე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება.

2. დაჩქარდეს მიწის კოდექსის ორგანული კანონის მიღება, რომლითაც აიკრძალოს უცხოელ მოქალაქეებზე და იურიდიულ პირებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის, დაუფასოებელი წყლის მიყიდვა და სადაც აგრეთვე დეტალურად გაიწეროს არა სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვის პირობები.

შეიქმნას აგრარული ქვეყნის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის – მიწისა და წყლის დაცვისა და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, კადასტრის მოწესრიგებული სისტემა და შესაბამისი მიწის მართვის სახელმწიფო სტრუქტურა;

3. შეიქმნას სახელმწიფო მიწის ფონდი (კორპორაცია), რომელსაც ექნება სათანადო ფინანსური რესურსები, რათა შეიძინოს მიტოვებული, აითვისოს დაურეგისტრირებელი ყოველგვარი მიწის ფართობები, მოაწესრიგოს იგი, ეკონომიკური მიზანშეწონილობით გაასხვისოს ან იჯარით გასცეს სპეციალური პროგრამით.

4. აღდგენილ იქნას სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომლის ტრადიციაც და სპეციალისტებიც ჯერ კიდევ შემორჩენილია. აუცილებელია საქართველოში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამეცნიერო ცენტრის შექმნა.

5. სოფლად გადამმუშავებელი საწარმოების სტიმულირების მიზნით ახლად შექმნილი საწარმოები ხუთი წლით განთავისუფლდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან. გაუქმდეს იურიდიული პირებისათვის წყლის დისკრიმინაციული ტარიფები. შემუშავებულ იქნას ელექტროენერგიაზე სეზონური, აგრეთვე სადღეღამისო სატარიფო სისტემები; უნდა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები ადგილობრივი მწარმოებლების არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დასაცავად.

6. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს და გაფართოვდეს იაფი აგრარული კრედიტი. გაიზარდოს მცირე მწარმოებლებისათვის კრედიტზე ხელმისაწდომობა, საგირავო ქონების სხვადასხვა პირობებით ჩანაცვლების გზით. კიდევ უფრო უნდა განვითარდეს აგროდაზღვევის სისტემა.

7. საქართველო უმოკლეს ვადაში უნდა ვაქციოთ გენმოდიფიცირებული პროდუქციისაგან თავისუფალ ზონად. ხელისუფლებამ უმკაცრესი ზომები უნდა გაატაროს გენმოდიფიცირებული (ტრანსგენული) პროდუქციის ჩვენ ქვეყანაში შემოღწევის წინააღმდეგ. რის შედეგადაც საქართველოში წარმოებულ პროდუქციას რეალური ფასი დაედება. ბიოპროდუქტების წარმოებასა და ექსპორტთან ერთად ეს საქართველოს სოფლის მეურნეობას ყველაზე მოთხოვნად დარგად აქცევს და ხელს შეუწყობს ეროვნული პროდუქციის წარმოების განვითარებას, ტურიზმის მასშტაბების მნიშვნელოვან ზრდას და, რაც მთავარია, ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

8. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მომავალი წლიდან დარგის დაფინანსება დაუყონებლივ გაორმაგდეს და შემდგომ ყოველწლიურად პროგრესულად გაიზარდოს. განისაზღვროს სოფლის მეურნეობის სუფსიდირების მიმართულებები და შემუშავდეს ფინანსური დახმარების გამოყენების მექანიზმები.

9. სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლების, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით ეტაპობრივად უნდა აღდგეს დანაშაულებრივად გაუქმებული სოფლის მეურნეობის პროფილის თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მათი ყოფილი ექსპერიმენტალური ბაზები, სანაშენე და სანერგე მეურნეობების ფართო ქსელი. ახალი ამოცანების შესაბამისად მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული პოტენციალი. მათ წინაშე ანგარიშვალდებულები უნდა გახდნენ აღდგენილი ეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგრარულ სფეროში მომუშავეთა განათლების ამაღლებას, რამდენადაც ამ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების დეფიციტის დაძლევაა.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს, რომელიც თაღლითური გზითაა მიტაცებული, უნდა აღუდგეს სახელმწიფო სტატუსი და დაეკისროს სოფლის მეურნეობისათვის კადრების მომზადების რეალური კოორდინაცია ქვეყნის მასშტაბით.

10. აღნიშნული პირველი რიგის ღონისძიებების პარალელურად შემუშავებულ იქნას საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ერთიანი, კომპლექსური პროგრამა, რომელშიც თავს მოიყრის ამ ტიპის ყველა დღეისათვის არსებული პროგრამები, რომლის განხორციელების შედეგად მიიღწევა მიზნები: მიგრაციის შეჩერების, სოფლის განვითარების, სასურსათო თვითუზრუნველყოფის, ქალაქსა და სოფელში ცხოვრების ხარისხის დაახლოების.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო სექტორის, მასმედიის, სამეცნიერო და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, ფართო საზოგადოებრიობას მხარი დავუჭიროთ წარმოდგენილ ღონისძიებებს და დავიწყოთ მათი განხორციელება გადაუდებლად, რათა შევაჩეროთ კრიზისი და უზრუნველვყოთ აღმასვლა კეთილდღეობისაკენ, რომლის გზა საქართველოში სოფლის განვითარებაზე გადის.

აიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირის“ თავმჯდომარე მურმან ქურიძე–
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.
მობ. 599 93 40 40, murman.kuridze@gmail.com

სამინისტროების გაერთიანების შედეგად, ახალ უწყებებში მხოლოდ 6 საჯარო მოხელით ნაკლები იმუშავებს

– სამინისტროების გაერთიანების შედეგად, უწყებებში დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის უცვლელი რჩება, – ამის შესაბამის სურათს იძლევა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პარლამენტშია წარდგენილი. პროექტის მიხედვით, სამინისტროების გაერთიანების შედეგად, ახალ უწყებებში ჯამში, 6 ადამიანით ნაკლები გააგრძელებს მუშაობას.

კერძოდ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში დასაქმებულია 60 ადამიანი, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროში – 775. მთავრობაში დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის (მესამე წარდგენა) მიხედვით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან გაერთიანების შემდეგ,

საგარეო უწყებაში დასაქმებულ პირთა რიცხოვნება 835 იქნება, ანუ ორი სამინისტროს გაერთიანებით თანამშრომელთა რაოდენობის შერწყმაც ხდება და არც ერთ საჯარო მოხელეს შემცირება არ ეხება.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მომუშავეთა რიცხოვნება 2.203 ადამიანს შეადგენს, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროში – 1377-ს. ცვლილებების შედეგად, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტროში დასაქმებულთა რაოდენობა 3.568 იქნება, ანუ გაერთიანებული სამინისტროში მხოლოდ 12 ადამიანით ნაკლები იმუშავებს, თუმცა აღნიშნული 12 პირიდან 6 მუშაობას განაგრძობს ეკონომიკისა და მდგარი განვითარების სამინისტროში, რომელსაც გარემოს დაცვის სამინისტროს ბუნებრივი რესურსების დაცვის კომპონენტი უერთდება.

გარდა ამისა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უერთდება ენერგეტიკის სამინისტრო. ენერგეტიკის სამინისტროში დასაქმებულია 135 ადამიანი, ხოლო ამ ეტაპზე ეკონომიკის სამინისტროში – 788 ადამიანი. სტრუქტურული რეფორმის შედეგად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მომუშავეთა რიცხოვნება იქნება 929, ანუ ორი უწყების გაერთიანებული თანამშრომლები – ჯამში 923 ადამიანი და ის 6 პირი, რომელიც ეკონომიკის სამინისტროში გარემოს დაცვის უწყებიდან გადაინაცვლებს.

რაც შეეხება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, უწყებაში დასაქმებულია 346 ადამიანი, ხოლო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში – 6.762. რეფორმის შედეგად, სპორტის სამინისტრო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უერთდება და შედეგად, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მომუშავეთა რიცხოვნება იქნება – 7.044, ანუ 64 ადამიანით ნაკლები, თუმცა აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდობის საქმეთა კომპონენტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეერწყმება და განათლების სამინისტროში დასაქმებულთა რაოდენობაც სწორედ 64 ადამიანით იზრდება. კერძოდ, თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დასაქმებულთა რიცხვი არის – 1.366, რეფორმის შედეგად აღნიშნულ უწყებაში თანამშრომელთა რაოდენობა 1.430 იქნება, ანუ სწორედ 64 ადამიანით მეტი.

თბილისის მოსახლეობის ნაწილს იანვრიდან გაზი გაუძვირდება

მომავალი წლიდან თბილისის მოსახლეობის ნაწილს გაზის ტარიფი 5 თეთრით გაეზრდება.

საუბარია, დიდი დიღმისა და ვარკეთილის ხუთი მიკრორაიონის (I, II, III, III ა, IV ა) მცხოვრებლებზე. დედაქალაქის მასშტაბით, ჯამში მცირე გაზგამანაწილებელი კომპანიების, „ვარკეთილიაირისა“ და შპს „დიდი დიღომი გაზის“ 25 ათასზე მეტ აბონენტს გაუძვირდება ბუნებრივი აირის გადასახადი.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია მცირე გაზგამანაწილებელი კომპანიების მხრიდან გაზის ტარიფის ზრდა. კომპანიების განცხადებით, უკვე რამდენიმე თვეა, რაც თავადაც გაზრდილ ფასად მიეწოდებათ ბუნებრივი აირი და ფაქტობრივად ზარალზე უწევთ მუშაობა.

როგორც „დიდი დიღომის გაზის“ მენეჯერი, ლელა გამგონიძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, „ყაზტრანსგაზი“, რომელიც მათი მიმწოდებელია, რამდენიმე თვეა, რაც გაზს უფრო ძვირად აწვდით. სწორედ ამან გამოიწვია კომპანიის მხრიდან მოქალაქეებისთვის გადასახადის გაძვირებაც.

გამგონიძის თქმით, „დიდი დიღომი გაზის“ აბონენტებს გაზის 5 თეთრით გაზრდილი ტარიფის გადახდა 21 იანვრიდან მოუწევთ.

– გაზს ვიღებთ „ყაზტრანსგაზისგან“, რომელიც უფრო ძვირად გვაწვდის ბუნებრივ აირს. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ ზაფხულში სემეკმა 11-დან 18 თეთრამდე გააძვირა ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ტარიფი. აქამდე თავს ვიკავებდით და არ გვინდოდა მოსახლეობისთვის ტარიფის გაზრდა, თუმცა, მთელი ეს პერიოდი კომპანია ზარალზე მუშაობდა, ზამთარში კი, გაზრდილი მოთხოვნის ფონზე, ასე ვეღარ გავაგრძელებთ, ამიტომ იანვრიდან ტარიფის მატება გვიწევს, – განაცხადა გამგონიძემ.

რაც შეეხება ვარკეთილის ხუთი მიკრორაიონის მოსახლეობას, მათ ბუნებრივი აირი ასევე 5 თეთრით 17 იანვრიდან გაუძვირდებათ. აღსანიშნავია, რომ ამის შესახებ ინფორმაცია კომპანია „ვარკეთილაირმა“ რამდენიმე დღის წინ „ფეისბუქის“ გვერდზეც გაავრცელა.

რაც შეეხება მიზეზებს, როგორც კომპანიის დირექტორმა ნუგზარ მღვდელაძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, კომპანია უკვე რამდენიმე თვეა გაზს 3 თეთრით მაღალი ტარიფით ყიდულობს, ამიტომ თუ კომპანია გაზს არ გააძვირებს, შესაძლოა გაკოტრების წინაშეც აღმოჩნდეს.

– მართალია, ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, მაგრამ 2017 წლის განმავლობაში გაზი 30%-ით გაძვირდა. ამასთან, 2017 წლიდან გაზის მთავარი მომწოდებელი კომპანია, „სოკარ ჯორჯია გაზი“ გაზის საფასურის ანაზღაურებას დოლარში ითხოვს. კერძოდ, თუ ადრე სოციალურ გაზს „სოკარისგან“ 249 ლარად ვყიდულობდი, დღეს 120 დოლარზეა ხელშეკრულება გაფორმებული. შესაბამისად, გაზის სამომხმარებლო ტარიფზე დოლარის კურსის მკვეთრი ცვლილებაც ახდენს უარყოფით გავლენას. ზამთარი საკმაოდ კრიზისული პერიოდია, მოთხოვნა გაზრდილია და ეს რამდენიმე თვე თუ შემცირებული მარჟით ვიმუშავე, ძალიან დიდ ზარალს მივიღებ და შესაძლოა გაკოტრების წინაშე აღმოჩნდეს კომპანია, – განაცხადა მღვდელაძემ.

შეგახსენებთ, რომ დედაქალაქს ბუნებრივი აირით ძირითადად „ყაზტრანსგაზ თბილისი“ ამარაგებს, თუმცა რამდენიმე გარეუბნის შემთხვევაში, გაზის მიწოდების ფუნქცია მცირე კომპანიებს აქვთ. სწორედ მათ შორის არიან „ვარკეთილაირი“ და „დიდი დიღომი გაზი“.

მიკროსაფინანსოებმა 16,745,911 ლარის უძრავ-მოძრავი ქონება დაისაკუთრეს

მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონება, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 3,566,437 ლარით მეტია.

კერძოდ, 2017 წლის მე-3 კვარტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებულმა ქონებამ 16,745,911 ლარი შეადგინა, მაშინ როცა, 2016 წლის ამავე პერიოდში ეს მონაცემი 13,179,474 ლარი იყო.

საანგარიშო პერიოდში ეროვნული ბანკის მონაცემებით, 83 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებდა, რომელთა წმინდა მოგებამ 2017 წლის მესამე კვარტალში 50,517,997 ლარი, სესხებიდან საპროცენტო შემოსავლებმა კი 213,022,345 შეადგინა.

ცნობისთვის, მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში მიკროსაფინანსოებმა 15,484,246 ლარის ღირებულების, 2017 წლის 1-ელ კვარტალში კი 14,569,560 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება დაისაკუთრეს.

კომპანიები, რომლებიც თბილისის მერიამ უსაფრთხოების ნორმების გამო გააფრთხილა

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა დედაქალაქის ტერიტორიაზე 150 მშენებარე ობიექტი გადაამოწმა და უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით გაფრთხილება მისცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიაში განუცხადეს, 100-ზე მეტ ობიექტს მიეცა სიტყვიერი გაფრთხილება, ხოლო 50-ზე მეტ ობიექტს ჩაბარდა მითითება, რითაც უსაფრთხოების ნორმების შესრულება დაევალათ.

მათივე ცნობით, ყველა გაფრთხილებულ კომპანიას დარღვევების გამოსასწორებლად ინდივიდუალურად განესაზღვრათ გონივრული ვადები.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში განმარტავენ, რომ გაფრთხილების არ შესრულების შემთხვევაში, კომპანიები კანონით გათვალისწინებულია საჯარიმო სანქციით, 3.000 ლარით დაჯარიმდებიან.

„ინტერპრესნიუსი“ თბილისის მერიიდან მოწოდებული იმ კომპანიების ჩამონათვალს გთავაზობთ, რომლებიც ზედამხედველობის საქალაქოსამსახურის მიერ გაფრთხილებულები არიან:

1. შ.პ.ს ,,ემ.ჯი ალიანსი“ (406175758) ნარიმანოვის ქ. №12 ს/კ 01.18.01.002.210
2. შ.პ.ს. ,,ელზურო“ (402004353) გორგასლის ქ. №63
3. ზაზა მინდორაშვილი მარიამი ლომიძე ორთაჭალის II შეს. № 14-ის მიმდებარედ / III ნადიკვარი № 16 ს/კ 01.18.06.003.034
4. შ.პ.ს. ,,ტეტრისი“ (404895556) ქურხულის ქ. № 2 ს/კ 01.17.01.107.009
5. შ.პ.ს. ,,კასს1“ (404480236) ზ. დუმბაძის №24/გერგეთის შეს. №3-ის მიმდ. 01.15.05.070.057
6. ამხანაობა ,,ფშაის 16“ (202467534) ფშავის ქ. №16 ს/კ01.16.07.003.020
7. პარმინდერ კაური ს. წავკისი ს/კ 81.02.18.330
8. ამხანაგობა „წყალტუბო 2006“ – წყალტუბოს ქ. №24
9. შპს „კედიას 10“ – კედიას ქ. №10
10. შპს „ევროპული სახლი“ – დ/დიღომი II მ/რ, ზემოთ მიმავალი გზის მარჯვნივ, ს/კ 01.10.08.006.193
11. შპს „როიალ დეველოპმენტი“ – დ/დიღომი I და II მ/რ შორის, ს/კ 01.10.06.001.205
12. შპს „კლასიკ დეველოპმენტი“ – კედიას ქ. №8
13. შპს „პატრიოტი 2“ – სოფელი დიღომი, ფარსადანის ქ. №9
14. შპს „დიღომი დეველოპმენტი“ – ლუბლიანას ქ. №38 ა
15. შპს „რესტარტ“ – დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა ს/კ 01.72.14.014.836
16. მანანა დემურაშვილი – დიღომი, ს/კ 01.72.14.014.764
17. შ.პ.ს „ნაის ექსპერიენსი“ – შავი ზღვის ქუჩა №1 (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი)
18. შ.პ.ს. „მზია“ – ვარკეთილი-3, მე-3 მ/რ, 310-ე კორპუსის მიმდებარედ (მრავალფუნქციური შენობა/კომპლექსი)
19. შ.პ.ს. „ბილდ გრუპი“ – ქეთევან წამებულის გამზირი №78 (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი)
20. შ.პ.ს. „ლაგი კაპიტალი“ – კაიროს ქუჩის მიმდებარედ (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი)
21. შ.პ.ს. „პანორამა ვაზისუბანი“ – შანდორ პეტეფის ქუჩა (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი)
22. მოქ: ევგენია მახარაშვილი – კახეთის გზატკეცილი (მრავალფუნქციური შენობა/კომპლექსი)
23. ს.ს „ჰუალინგ ინტერნეიშენალი სპეციალ“ – ვარკეთილი-3, მე-4 მ/რ-ის მიმდებარედ (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი)
24. შ.პ.ს. „ემ-ემ-ჯი ჯგუფი“ – ვაზისუბანი, კორპუსი №23-ის მიმდებარედ (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი)
25. შ.პ.ს. „ფალავანი“ – ვაზისუბანი, 1 მ/რ, ავტოსადგურის მიმდებარედ (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი)
26. შ.პ.ს. „თბილისის სამედიცინო აკადემია“ – ქეთევან წამებულის გამზირი №51/2 (უმაღლესი სასწავლებლები)
27. შპს ,,გურამიშვილის გამზ. 64“ – 400124682 – გურამიშვილის გამზ. №64
28. შპს ,,ინლაირ ბილდინგი“ – 404491297 – გურამიშვილის გამზ. №8/8
29. ელვირა ჩიკოიძე – 01019007324 – ახლდაბის ქ.№1/10
30. შპს ,,ჯაოკენი“ – 200031241 – ერისთავის ქ.№1
31. შპს ,,ლაიფ მასტერი“ – 404879903 – ჭყონდიდელის ქ. №22
32. შპს ,,ბინექსი“ – 406095130 – მექანიზაციის ქ.№1
33. შპს ,,ჯორჯიან ბილდინგ გრუპი“ – 405164343 – ც.დადიანის ქ.№158 (მიმდებ.) / ხვინგიას ქ. №1
34. შპს ,,კონსოლი“ – 405059378 – ც.დადიანის ქ. №209
35. შპს ,,გლდანი-სითი“ – 400185777 – ხევძმარის ქ. №1
36. შპს „საერთაშორისო აკადემია გუმა მერიდიანი“ – 200239786 – გლდანის რ-ნი, 1 კვ. მიმდებარედ
37. შპს ,,მირაქსი“ – 400157879 – ომარ ხიზანიშვილის ქ. №108
38. შპს ,,ნოლა-16“ – 405158519 – გლდანის 5მ/რ, კორპ.№11-ის მიმდებ.
39. შპს ,,ენჯეკომი“ – 412710552 – ბოჭორიშვილის ქ. №33
40. ჯუმბერ ჩაბაიძე – 01003004500 – მუხიანის დასახ. მე-2 მ/რ, №18(ა)-მიმდებ.
41. შ.პ.ს. „ახალი გზა“ – დასახ.ლისის ტბასა და ზემოვეძის შორის
42. შ.პ.ს.„ირს თაუერი“ – გაგარინის №29
43. შ.პ.ს.„სითი რეალ ესთეით“ – გამსახურდიას გამზ.№30
44. შ.პ.ს. „ათორი“ – მუხაძის ქ.№4
45. შ.პ.ს. „ჰაუსართ-ლუქსი“ – ი.ჭავჭავაძის გამზირი №60
46. შ.პ.ს. „თეთრი სამყარო“ – ნუცუბიძის Iვმ/რ №5კორპ.მიმდებარედ
47. შპ.ს. „აა4“ – ფალიაშვილის ქ.№63
48. ი.მ.ა. „ფალიაშვილის 63„– ფალიაშვილის ქ.№67
49. შ.პ.ს. „მ2 ჭავჭავაძე“ – ი.ჭავჭავაძის გამზ.№50
50. შ.პ.ს. „ნირან პროპერტის დეველოპმენტი – წყნეთის გზატკეცილის სტუდქალაქის მიმდ.
51. შ.პ.ს. „ოაზის თბილისი“ – ღამარაშვილის ქუჩა №4თ
52. ს.ს. „კურაციო“ – ალ.ყაზბეგის გამზირი №34
53. შ.პ.ს. „იბა“ – წყნეთის გზატკეცილი№41
54. შ.პ.ს. „მონოლით გრუპ“ – შატბერაშვილის ქ.№5(3)
55. მოქ. ირმა სალუქვაძე – შატბერაშვილის ქ.№70
56. შ.პ.ს.„ბეირუთი“ – შატბერაშვილისა და კეკელიძის ქ.შორის
57. შ.პ.ს „სვეტი ნუცუბიძე“ – ნუცუბიძის ფერდობი IIIმ/რ
58. შ.პ.ს. „მოზაიკა“ – ნუცუბიძის ქუჩა№139
59. მოქ. ლევან დალბაშვილი – ცაგარელის №65
60. შ.პ.ს. „ჰეფი ჰაუზ“ – ლისი
61. შ.პ.ს. „კმგ დეველოპმენტი“ – ბურძგლას ქ.№14-16
62. ი.ბა „ დოლიძე +“ – ბალანჩივაძის ქ.№1
63. პარმინდერ კაურ – ქ. თბილისი, სოფელი წავკისი, ნაკვეთი №81.02.18.330

ცნობისთვის, თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე სამშენებლო უსაფრთხოების ნორმების დაცვის უმკაცრესად გაკონტროლებასთან დაკავშირებით ისაუბრა.

კალაძემ ზედამხედველობის სამსახურის უფროსს გიორგი ბაგრატიონს აღნიშნული საკითხის პირად კონტროლზე აყვანა დაავალა, რათა თითოეული მშენებლობის მიმდინარეობისას დაცული იყოს საქართველოს მთავრობის №361-ე და № 477-ე დადგენილებები.

კალაძის თქმით, ყველა ის დეველოპერი, რომელიც არ უზრუნველყოფს დადგენილი წესების დაცვას, კანონის წინაშე სათანადოდ და სამართლიანად აგებს პასუხს და თუ ზედამხედველობის სამსახურის მითითებები არ იქნება გათვალისწინებული, საქალაქო სამსახური გამოსცემს მშენებლობის შეჩერების დადგენილებას, რისი უფლებამოსილებაც მას კანონის ძალით აქვს მინიჭებული.

დეკანოზი გიორგი მამალაძე: „მაიძულებდნენ, მელიარებინა პატრიარქის მკვლელობის მომზადება“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმის განხილვამ სააპელაციო სასამართლოში გადაინაცვლა. დაცვის მხარე საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შეცვლას ითხოვს. მათი განცხადებით, მამა გიორგი მამალაძე არავის მკვლელობას არ აპირებდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სკანდალური განცხადებების გარეშე არც ამ სხდომას ჩაუვლია. დეკანოზმა გიორგი მამალაძემ სასამართლოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა. თუმცა მანამდე ისაუბრა, როგორ ხორციელდებოდა მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა.

– აეროპორტიდან გატაცების დღიდან დღემდე ვიმყოფები სისტემატიური ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ. გატაცების მომენტიდან, ჩემი ადვოკატების თანდასწრებით ითხოვდნენ, მეღიარებინა პატრიარქის მკვლელობის მომზადება და მასში მიტროპოლიტ დიმიტრისა და იოსებ ოხანაშვილის მონაწილეობა. სანაცვლოდ, ფსევდო თანამშრომლობისთვის თავისუფლებას მპირდებოდნენ. ამის გამო პროკურატურის წარმომადგენლებსა და ადვოკატებს შორის სიტუაცია არაერთხელ დაიძაბა, – აღნიშნა პატიმრობაში მყოფმა დეკანოზმა.

მამა გიორგის თქმით, ამ პერიოდის მანძილზე ზეწოლა ხორციელდებოდა მისი ოჯახის წევრებზე. ადგილი ჰქონდა მათი დაშინების მცდელობასაც.

– იყო ზეწოლა ჩემს ოჯახზე, მოწმეებსა და ადვოკატებზე. რამდენიმე კვირის წინ, თავდასხმა მოხდა ჩემს ძმაზე. მუქარის შეტყობინებები მიიღო ჩემმა ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ. ასევე მოწმე ირაკლი ფირცხალავამ განაცხადა ზეწოლის შესახებ პენიტენციურ დაწესებულებაში, რათა მას არ მიეცა ჩვენება სასამართლოში ამ საქმესთან დაკავშირებით. ჩვენების მიცემის შემდეგ კი საქმე აღძრეს მის წინააღმდეგ. ასევე დაშინების მცდელობა იყო მისი მეუღლის და შვილის მიმართ.

ჩემი ადვოკატები დაიბარეს ტელევიზიით გავრცელებული დახურული სხდომის მასალების გამო პროკურატურასა და სასამართლოში, რეალურად კი აღმოჩნდა, რომ მოსამართლე ბუგიანიშვილმა, სხვა საქმის პროკურორს გადასცა აღნიშნული მასალა, ხოლო პროკურორმა დაულუქავად გადასცა ნომერ მეცხრე პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას.

მიტროპოლოტმა დიმიტრიმ 5 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პროკურორები სასურველი ჩვენების მისაღებად მასზე ახდენდნენ ზეწოლას. 7 თვის მანძილზე, პროკურორის გადაწყვეტილებით აკრძალული მქონდა ოჯახთან ყველანაირი კომუნიკაცია, – ამბობს მამა გიორგი.

ის პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას მის მიმართ რელიგიურ დისკრიმინაციაში სდებს ბრალს:

– დღემდე არ მეძლევა შესაძლებლობა, შევიმოსო ჩემი რელიგიური შესამოსელით და ასევე არ მაძლევს პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ ტაძარში აღსრულებულ მსახურებაზე დასწრების უფლებას.

მამა გიორგის თქმით, ის იმისთვის ისჯება, რომ პატრიარქმა მისი თანამდებობაზე დანიშვნით, ცალკეულ პირებს შეუზღუდა ეკლესიის ქონებაში ჩარევის შესაძლებლობა.

სასამართლოზე დეკანოზმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ არავის მკვლელობას არ ამზადებდა.

მისი თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა და მთავარმა პროკურატურამ დამკვეთთა სურვილით მის წინააღმდეგ საქმე შეთითხნეს. დეკანოზის განცხადებით, არ არსებობს მოწმე, რომელიც იტყვის, რომ ის მკვლელობას გეგმავდა. ამბობს, რომ პროკურატურის მთავარი მოწმეც კი ვარაუდებზე დაყრდნობით საუბრობს.

– ნახავთ 100-ზე მეტი მოწმის ჩვენებას და გამოკვლეულ 11 ტომ მტკიცებულებებს, სადაც არ არსებობს ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ მე ვინმეს მკვლელობას ვგეგმავდი. ამის არც მტკიცებულება არსებობს. საქმის მთავარი მოწმე, ირაკლი მამალაძეც კი ამბობს, რომ არაა დარწმუნებული, მზადდებოდა თუ არა დანაშაული. ის უბრალოდ ვარაუდობს ამას.

ვიღაცის ვარაუდებზე ასეთი მძიმე ბრალი და სასჯელი გაგონილა?! ბრალდება ამტკიცებს, რომ მე მქონდა ციანიდი, რომელიც თითქოსდა ჩემს ჩანთაში აღმოაჩინეს. ეს

სიცრუეა, რადგან მე ის ავადსახსენებელი ნივთიერება არ მქონია, – მიმართა სააპელაციო სასამართლოს დეკანოზმა.

მან განმარტა, რომ ციანიდით მართლაც იყო დაინტერესებული. ამბობს, რომ მისი შოვნა მას პატრიარქის მდივან-რეფერანტმა შორენა თეთრუაშვილმა სთხოვა. თავად თეთრუაშვილი ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

ამოღებულ ციანიდთან დაკავშირებით მას შემდეგი პრეტენზიები აქვს:

– პროკურატურამ ამოღებულ ციანიდზე არ ჩაატარა დნმ-ის და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა. სამაგიეროდ, ექსპერტიზა ჩაუტარეს ფარატინა ფურცელს, სადაც ეწერა „კალიუმის ციანიდი“, რაც კითხვის ნიშნებს ბადებს. არ მოგვეცა შესაძლებლობა მთავარი მტკიცებულების – აეროპორტის ვიდეო სათვალთვალო კამერების ჩანაწერების მოპოვების, რითაც დამტკიცდებოდა სუს-ისა და პროკურატურის უკანონო ქმედებები როგორც ჩემ მიმართ, ასევე ბარგის ამოღებისას.

დეკანოზის თქმით, ამ უკანონო მოქმედებების დაფარვის მიზნით, ბრალდებამ აღნიშნული ჩანაწერების ამოღება და საქმეზე დართვა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, მაშინ როცა, საქმეს დაურთო ჩემი სახლის გასაღების მეპატრონეზე გადაცემის ვიდეოკადრები.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მამა გიორგი მამალაძემ პროკურატურა დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა.

მისი თქმით, უკვე წაყენებული ჰქონდა ბრალი შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებაზე, როდესაც მთავარმა პროკურორმა საზოგადოებას პატრიარქის მკვლელობის აღკვეთაზე მიანიშნა.

– 11 თებერვალს, დაკავებიდან მეორე დღეს, წარმიდგინეს ბრალი შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადების შესახებ. მიუხედავად ამისა, 13 თებერვალს მთავარმა პროკურორმა, შოთაძემ საზოგადოების წინასწარი განწყობის შექმნის მიზნით გააკეთა განცხადება, რომლითაც საზოგადოებას პატრიარქის მკვლელობის აღკვეთაზე მიანიშნა.

საზოგადოების წინასწარ განწყობასვე ემსახურებოდა პროკურატურის მიერ მიმდინარე წლის 8 მარტს, სინოდის სხდომის წინა დღეს, საზოგადოებისთვის დამონტაჟებული მასალების გაცნობა. გაუთქმელობის პირობიდან გამომდინარე, შეუძლებელი გახდა დაცვას კონტრარგუმენტები წარმოედგინა, – აღნიშნა დეკანოზმა.

ის ქართულ მართლმსაჯულებას უნდობლობას უცხადებს. ამბობს, რომ აქ სიმართლის დამტკიცება ბერა ივანიშვილის ფეისბუქსტატუსზეა დამოკიდებული.

– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ზეწოლის მსხვერპლია. სახალხო დამცველს აკრიტიკებენ, რადგან მან ციანიდის საქმეზე თქვა, რომ მართლმსაჯულება არ აღსრულდა. ჩვენს ქვეყანაში სიმართლის დამტკიცება და თავისუფლების მოპოვება ბერა ივანიშვილის მიერ სოციალურ ქსელში დაწერილ სტატუსზეა დამოკიდებული. ჩვენ გვყავს მთავარი პროკურორი, რომელიც უკანონოდ და უსამართლოდ დასჯილი ბატონი გვიჩიანის და ასევე მოლაშვილის ბრალმდებელი იყო.

ბრალდების მხარეს, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, რომ საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება და ეს რომ საზოგადოებისთვის არ იყოს ცნობილი, ამისთვის სურს დახუროს სასამართლო სხდომები. ზემოაღნიშნულიდან და ჩემ ირგვლივ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, უნდობლობას ვუცხადებ ქართულ მართლმსაჯულებას, რის გამოც პროტესტის ნიშნად ვტოვებ სასამართლო დარბაზს. თქვენ კი, პატივცემულო კოლეგია, გისურვებთ, განაჩენის მიღების ჟამს, ჭეშმარიტი მსაჯულის – უფალი იესო ქრისტეს თანაგრძნობას, რათა ხელისუფალის თუ ფარისეველთა ზეწოლითა თუ თანამდებობის დაკარგვის შიშის გამო, მოსამართლე ბუგიანიშვილის მსგავსად, ანგარებით არ იძალადოთ კანონზე და უკანონო განაჩენი არ გამომიტანოთ, – განაცხადა სხდომის დატოვებამდე მამა გიორგიმ.

დეკანოზმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც საქმეში ჩართული იყო, მათ შორის მედიას და სახალხო დამცველს.

* * *

სააპელაციო სასამართლოში ციანიდის საქმის განხილვა 20 დეკემბერს განახლდება. დაცვის მხარე სახალხო დამცველის დასკვნის მტკიცებულებად დართვის შუამდგომლობას დააყენებს.

დაცვის მხარე ირაკლი ფირცხალავას დაკითხვასაც ითხოვდა. რამდენიმე თვის წინ, მან პროკურატურის მთავარ მოწმესთან დაკავშირებით სკანდალური განცხადება გააკეთა და თქვა, რომ ის სპეცსამსახურების აგენტ-პროვოკატორია.

ის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაიკითხა. ადვოკატი გიორგი ფანცულაია ამბობს, რომ მაშინ დაცვის მხარეს არ მიეცა საშუალება, რომ ფირცხალავა სრულად დაეკითხა.

სააპელაციო სასამართლომ დაცვის მხარის ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

საქმის ერთ-ერთი პროკურორის, ზვიად გუბელაძის თქმით, ირაკლი ფირცხალავა არასაიმედო მოწმეა და მას არც ერთი მოსამართლე არ ენდობა.

ახლობლები 19 წლის ანდრო ქობალავას ეძებენ

თითქმის ერთი თვეა, ახლობლები 19 წლის ანდრო ქობალავას ეძებენ. 19 წლის ახალგაზრდა ბოლოს 10 ნოემბერს ნახეს. მან საცხოვრებელი სახლი 22:00 საათზე დატოვა. ახლობლების ინფორმაციით, მეტრო „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ტაქსიში ჩაჯდომის შემდეგ ქობალავას კვალი იკარგება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ქობალავას ძებნა ინტენსიურად მიმდინარეობს. ოჯახი მოქალაქეებს სთხოვს, თუ რამე ინფორმაციას ფლობენ აღნიშნულ პირზე, დაუკავშირდნენ ანდრო ქობალავას ოჯახის წევრებს ნომერზე 557-24-83-84.

129 ერთეული პნევმატური პისტოლეტის შემოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საგამოძიებო სამსახურმა საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, მისი მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანაში მოწყობილი სპეციალური სამალავის გამოყენებით, თურქეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე 129 ერთეული პნევმატური პისტოლეტი შემოიტანა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ქუთაისის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში ბრალდებული თ.გ. ერთხმად ცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულ სასამართლო სხდომებზე ბრალდების მხარემ ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოიკვლია. დაიკითხა ათობით, მათ შორის დანაშაულის თვითმხილველი მოწმე, გამოკვლეული იქნა დოკუმენტალური და ნივთიერი მტკიცებულებები, ასევე მკვლელობის იარაღი – დანა, რომელზეც მოკლულის სისხლი და ბრალდებულის დნმ-ი აღმოჩნდა.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 28 დეკემბერს, საღამოს საათებში თ.გ.-მ მისსავე საცხოვრებელ სახლში შელაპარაკების დროს სტუმარს რ.ქ.-ს გულმკერდის არეში დანა დაარტყა. მიღებული დაზიანებების შედეგად რ.ქ. ადგილზე გარდაიცვალა.

თ.გ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა. მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

ნაფიცი მსაჯულების მიერ ერთხმად მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ქართველი მსაჯი მალთაყვის ნაძვნარში გარდაცვლილი იპოვეს

„გურია თუდეის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ლანჩხუთისა და ფოთის საზღვარზე, მალთაყვაში, ზღვისპირას არსებულ ნაძვნარში გარდაცვლილი იპოვეს ქართველი მსაჯი ილო ტუღუში, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ემსახურებოდა, მათ შორის, მთავარ ლიგაშიც.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, იგი ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთ სასტუმროში შენიშნეს, თუმცა ამ ინფორმაციას ვერ ვაზუსტებთ.

ილო ტუღუში ცხოვრობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათში, რომელიც მალთაყვიდან მინიმუმ 15-20 კილომეტრითაა დაშორებული.

რატომ აღმოჩნდა ქართველი მსაჯი მალთაყვაში, როცა ახლა არც საკურორტო დროა და საფეხბურთო სეზონიც დასრულებულია, ძნელი სათქმელია.

გარდაცვლილის ცხედარი ქუთაისში, პროზექტურაშია გადასვენებული და მას ექსპერტიზა უტარდება.

„გურია თუდეი“

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „სააკაშვილი რუსეთისთვის სასარგებლო იდიოტის როლს თამაშობს“

მანანა იაშვილი

ინტერვიუ დიმა ლორთქიფანიძესთან

– რა შეფასებას გააკეთებდით უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის დაკავების, შემდეგ გაშვების და მის მიმდინარე თავგადასავალზე?

– უკრაინაში მიმდინარე პროცესები აუცილებლად მოითხოვს განმუხტვას. ასე ვთქვათ, მსოფლიო თანამეგობრობა და პროგრესული დასავლეთი ცდილობს, რომ მინსკის შეთანხმებიდან გამომდინარე გარკვეული გამოსავალი ნახოს. რუსეთი, რა თქმა უნდა, ამას სათავისოდ იყენებს და გარკვეული პირობიდან გამომდინარე პირობას არ ასრულებს. შესაბამისად, პროცესი არის ჩიხში შესული და დასავლეთი ამ ჩიხიდან გამოსავალს კვლავ ხედავს, რომ საკუთარი გავლენის აგენტი გამოიყენოს. მიშა, როგორც დასავლეთისთვის, ასევე რუსეთისთვის არის ძალიან საინტერესო ფიგურა.

რუსეთისთვის ის თამაშობს „სასარგებლო იდიოტის როლს“, ეს პოლიტიკაში გამოყენებული ტერმინია, ხოლო დასავლეთისთვის ის არის ფიგურა, რომელიც პრეტენდენტი გახლავთ, იმ ცვლილებებს ჩაუდგეს სათავეში, როგორც ლიდერი და მოახდინოს პოროშენკოს რეჟიმის დემონტაჟი. ეს თამაში, რაც მიმდინარეობს კიევის ქუჩებში, არის კარგად შეთანხმებული და ერთობლივად ორკესტრირებული როგორც დასავლეთიდან, ასევე რუსეთის გარკვეული წრეებიდან.

– რატომ?

– როგორც ჩანს, უკრაინასთან დაკავშირებით გარკვეული გადაწყვეტილება არის მიღებული. საუბარი აღარ მაქვს ყირიმთან დაკავშირებით, რომლის რუსეთის ფედერაციაში შესვლის ფაქტს მსოფლიოში სერიოზული პროტესტი არ მოჰყოლია და არც დღეს არის ამაზე ლაპარაკი. დღეს, როდესაც დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების საკითხი გამოიკვეთა, როგორც რუსეთის ინტერესების განუხრელი ტერიტორიული ერთეულებისა, როგორც ჩანს გადაწყვეტილია უკრაინის ტერიტორიის გაყოფა.

– მიშა სააკაშვილის მეტი ვერავინ ნახა დასავლეთმა?

– ნახეთ, ჟირინოვსკიც კი განცხადებას აკეთებს, რომ „მიშას შეიძლება ყველაფერზე ედავო, მაგრამ ვერ შეედავები, რომ მას შეუძლია მიღებული დავალებების პირნათლად და მაღალი ხარისხით შესრულება“. მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილი გახლავთ პოლიტიკური ცხოველი, ის დაკისრებულ ამოცანას ასრულებს, როგორც „პერშინგი“ და ეს ამოცანა მისგან ინდივიდუალურად არ მომდინარეობს.

– მართვადია მთლიანად, იარაღია?

– დიახ, შეუთანხმებლად და კონკრეტული კონიუნქტურის გარეშე, როგორი ამბიციურიც არ უნდა იყოს, ის რაიმე ნაბიჯის გადამდგმელი არ არის. როგორც არ უნდა ჩანდეს, რომ ინდივიდის გადადგმული ნაბიჯია. რეალურად ეს არის ყოველთვის კარგად ორკესტრირებული სპექტაკლი, რომელიც უკვე საცირკო ნომერში გადაიზარდა. მიშა – სპაიდერმენი, მიშა – სუპერმენი, მიშასგან ვღებულობთ მამაც, უშიშარ ლიდერს, რომელსაც სპეცდანიშნულების რაზმები წინ ვერ აღუდგებიან.

– პოროშენკო შეაშინა?

– პოროშენკოს განცხადებები მოწმობს, რომ შინა პატიმრობისთვის უნდოდათ მისი დაკავება და არა იმ სერიოზული ბრალდებისთვის პასუხისგებაში მიცემა, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისგან დაფინანსებულ პროცესს, რაც მიზნად ისახავდა უკრაინის ლეგიტიმური ხელისუფლების შეცვლას. გუშინდელი პოროშენკოს განცხადება სრულიად ეწინააღმდეგება გენპროკურორ ლუცენკოს განცხადებას, როდესაც მან დაასახელა სააკაშვილის გარემოცვის საკონტაქტო პირის, ვინმე დანგაძისგან, რუსეთიდან გადაცემული 500 მილიონი დოლარი და მისი ბრუნვაში ჩაშვება, უკრაინაში პროცესების სამართავად, რაც უკრაინის სპეცსამსახურებმა დააფიქსირეს.

– დიახ, მძიმე ბრალდებაა.

– ეს ნებისმიერ ცივილურ ქვეყანაში საკმარისი იქნებოდა არა 3-5 წლამდე ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ბრალის წარსადგენად, რაც მიშაა სააკაშვილს დღეს აქვს წარდგენილი, არამედ სერიოზული დანაშაულისთვის, რაც ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული.

– რა მიზანი ამოძრავებს რუსეთს თუ დასავლეთს, ინტერესთა თანხვედრა სად არის?

– მინსკის შეთანხმებაში გარკვეულწილად ჩანს ყველა ინტერესი. მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების. ვთქვათ, ტერნოპოლის მხარე – ლვოვი, ტერნოპოლი, ივანოფრანკოვსკი... შესაძლოა გარკვეული პრეტენზიები პოლონეთსაც ჰქონდეს, რომელსაც გამოავლენს მას შემდეგ, რაც ძირითადი მოთამაშეები თამაშის ძირითად წესებზე მოილაპარაკებენ.

– მიშა კი ორმხრივ თამაშობს?

– ის თამაშობს წაუგებელ თამაშს, დასავლეთისთვის და რუსეთისთვის. დააკავებენ – გმირია, არ დააკავებენ – გმირია.

– უკრაინელები რას ფიქრობენ? მე ვამბობ, როგორც პოლიტიკურ ლიდერებზე, რომლებიც არაადეკვატურად იქცევიან, ასევე ხალხზე, რომელიც მხარს უჭერს?

– უკრაინაში სააკაშვილის რეიტინგი, როგორც ინდივიდუალური ლიდერისა, არ არის 2%-ზე მაღლა, მაგრამ ბოლო დროინდელმა მოვლენებმა რეიტინგის რეალური ზრდა მოახდინა. ფაქტია, რომ პოროშენკო და მისი ადმინისტრაცია აღმოჩნდნენ ძალიან სუსტი ლიდერები, ნებისმიერი გამოწვევის გასანეიტრალებლად. რეალურად პოროშენკომ უარი განაცხადა უკრაინაში რეფორმების გატარებაზე, ვერ გაექცა ოლიგარქიულ მმართველობას, ვერ გაატარა საჭირო რეფორმები ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად. ამას საზოგადოება კარგად ხედავს, რადგან ხედავს რეფორმების აუცილებლობას.

– საქართველოში ნაციონალების გააქტიურება და 6 დეკემბერს ჩატარებული მცირერიცხოვანი, მაგრამ რიხიანად გამოცხადებული მანიფესტაცია რას უნდა ნიშნავდეს?

– ნაციონალებს საქართველოში არასდროს აღარ ექ-

ნებათ მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა. ეს დამთავრებული პარტიაა. სამწუხაროდ, საზოგადოებისაგან დენაციფიკაციის მოთხოვნისა, „ქართულმა ოცნებამ“ კოჰაბიტაცია ამჯობინა და დღემდე ყველა ღონეს ხმარობს ნაციონალური მოძრაობის რეაბლიტაციისთვის, ეს კი არ მოხდება და გამორიცხულია.

– რატომ გამართეს მიტინგი და მსვლელობა, უკრაინაში მიშა სააკაშვილს უჭერენ მხარს თუ აქ რამე მიზანი აქვთ?

– როდესაც უკრაინაში გენპროკურორმა ლუცენკომ განაცხადა, რომ სააკაშვილი რუსეთიდან იმართება და ფინანსდება, ამან სერიოზული დარტყმა მიაყენა აქ ნაციონალების იმიჯს. რადგან მიშა სააკაშვილი არის არა მხოლოდ მათი პარტიის ლიდერი, არამედ ის ლიდერია, რომლის გამოც ნაციონალებმა, მიუხედავად სამად გაყოფისა, მიიღეს ბოლო არჩევნებზე ამომრჩეველთა ხმები. ბუნებრივია, როდესაც მის მიმართ სკანდალური ბრალდება გაისმის და მას მიაკრეს პროპუსი პოლიტიკოსის იმიჯი, მაშინ, როდესაც ის კულტივირებული იყო, როგორც რუსეთთან მებრძოლი პოლიტიკოსი, ამან მყისიერი აღშფოთება გამოიწვია ნაციონალურ მოძრაობაში, რადგან საფრთხე დაინახეს, რომ მათაც მოედებათ ჩრდილი.

– ნაციონალების პროდასავლურობამ ჩაილურის წყალი დალია?

– დიახ, მითი ინგრევა, რომ ისინი განუხრელად იბრძოდნენ რუსული ნარატივის წინააღმდეგ. ამიტომ მათი მყისიერი რეაქცია იყო არა იმისთვის, რომ მართლა ჩაეტარებინათ აქცია, არამედ გაებუქებინათ და გამოეთქვათ ასეთი სურვილი მაღალი ტრიბუნიდან. ეს იყო პირობითი რეფლექსი, თავიდან აერიდებინათ უკრაინაში მიშას მიმართ წაყენებული ბრალდება.

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ონკოლოგიური პროცესების მართვა, ლიმფის გაწმენდით მეტასტაზების განადგურება, სიმსივნური უჯრედის ზრდის შეჩერება, ქიმიოთერაპიის ეფექტურობის გაზრდა, იმუნიტეტის ამაღლება, თმის ცვენის, გულის რევის შეჩერება, ენერგიისა და ჭამის მადის მომატება მცენარეული, აბსოლუტურად უვნებელი საშუალებებით. ტელ: 597-98-95-99.

● ფსორიაზის, ეგზემის, კანისა და ფრჩხილის სოკოს მკურნალობა გარანტირებული შედეგებით. ფსორიაზის მკურნალობა ლიმფის გაწმენდით (შინაგანად) და მალამოებით. მამაკაცური სექსუალური პრობლემების მოწესრიგება, ერექციის გახანგრძლივება და სხვა – მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 597-98-95-99.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

საერთაშორისო

ტერეზა მეის აფეთქებას და დანებით აჩეხვას უპირებდნენ

დიდ ბრიტანეთის პრემიერ ტერეზა მეიზე თავდასხმა აღკვეთეს. ამის თაობაზე ინგლისის კონტრდაზვერვის უფროსმა ენდრიუ პარკერმა განაცხადა.

– ისლამისტები ტერეზა მეიზე

ტერაქტს ამზადებდნენ, – ამბობს პარკერი.

ტერორისტები მეის რეზიდენციის აფეთქებას, შემდეგ კი პრემიერზე დანებით თავდასხმას აპირებდნენ.

პრესაში ასევე გამოქვეყნდა იმ ორი ტერორისტის სახელი, რომელთაც პრემიერის ლიკვიდაცია სურდათ. ესენი არიან 20 წლის რაჰმანე და 21 წლის აქიბ იმრანე.

ორივე მათგანი დაკავებულია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ერდოღანი აშშ-ს: „არ გადაიტანოთ საელჩო იერუსალიმში“

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანის კატეგორიული წინააღმდეგია.

– თუკი აშშ ამას გააკეთებს, ამით ის ყველა მუსლიმანისთვის წითელ ხაზს გადაკვეთს, – თქვა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანის შემთხვევაში თურქეთი ისრაელთან ურთიერთობას გაწყვეტს.

მსგავსი განცხადება გააკეთა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაბრიელმა. მან ტრამპს მიმართა და სთხოვა, აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანისაგან თავი შეიკავოს.

– ამის ცალმხრივად გაკეთება არ შეიძლება, – ამბობს გაბრიელი.

მინისტრს მხარი ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმაც დაუჭირა. ისიც მიიჩნევს, რომ აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანა ნაადრევია.

სახალხო მკურნალილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ჩემპიონთა ლიგაზე პლეი ოფის ნახევარი მონაწილე გაირკვა

დასრულდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ოთხ ჯგუფში და რამე განსაკუთრებული სენსაცია არ შეგვხვედრია.

ა ჯგუფი იოლად მოიგო მანჩესტერმა. ბრიტანელები რუს არმიელებთან პირველ ტაიმში კი ჩამორჩნენ, მაგრამ ამით არც პრობლემა ექმნებოდათ და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მიიყვანეს საქმე ბოლომდე.

ცსკა-დან ალან ძაგოევმა გაიტანა და თითქოს გუნდს პლეი-ოფში გასვლის იმედიც გაუჩინა, მაგრამ ცალკე ბაზელმა, ცალკე რომელუ ლუკაკუმ და მარკუს რაშფორდმა ყველაფერს ლოგიკური ადგილი მიუჩინეს. არმიელები ევროპალიგაზე ითამაშებენ.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ბაზელმა ელიუნუსისა და ობერლინის გოლებით მოუგო გასვლითი შეხვედრა ბენფიკას, რომელმაც წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაზე ყველა მატჩი წააგო.

ბ ჯგუფში ტურის მატჩი შედგა – „ალიანც არენაზე“ ბაიერნმა პარი სენ-ჟერმენს უმასპინძლა და 3:1 მოუგო. ორივე გუნდმა ერთნაირი ქულები დააგროვა და პლეი ოფშიც გავიდნენ, მაგრამ პირველი ადგილით მაინც ფრანგული კლუბი მოხვდა, რომელმაც საშინაო მატჩი 3:0 მოუგო გერმანელებს.

მიუნხენური მატჩი კი მხიარული სანახავი გამოდგა. ორივე გუნდი შეტევაზე უფრო იყო ორიენტირებული და რომ არა მეკარეთა კარგი თამაში, უფრო უხვგოლიანიც გამოვიდოდა.

მასპინძელთაგან თავი რობერტ ლევანდოვსკიმ და კორენტენ ტოლისომ (ორჯერ) გამოიჩინეს, პარიზელთაგან კი კილიან მბაპემ გაიტანა.

წაგების მიუხედავად, პსჟ ჩემპიონთა ლიგის ახალი რეკორდის მფლობელიც არის – უნაი ემერის გაწვრთნილმა გუნდმა დასრულებულ ჯგუფურ ეტაპზე 25 გოლი გაიტანა. კიდევ 4 ჯგუფის თამაშებიდან ყველაზე ახლოს ლივერპულია, რომელსაც 16 გოლი აქვს გატანილი და წარმოუდგენლად მოჩანს, რომ მერსისაიდელები ბოლო ტურში 10 გოლს გაიტანენ.

გეტყვით იმასაც, რომ აქამდე რეკორდი დორტმუნდს ეკუთვნოდა. გერმანელების ანგარიშზე 2016-17 წლებში 21 გატანილი გოლია. 20-20 გოლი გაუტანიათ 1998-99 წლების მანჩესტერსა და 2011-12 წლების ბარსელონას.

ამავე ჯგუფიდან ევროპალიგაზე გადაინაცვლა სელტიკმა. მართალია, შოტლანდიელებმა შინ მინიმალური ანგარიშით წააგეს ანდერლეხტთან და ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ, მაგრამ მათ ეს შედეგიც ეყოთ მე-3 ადგილზე გასასვლელად, რადგან ბრიუსელში 3:0 ჰქონდათ მოგებული და ანდერლეხტს ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობით აჯობეს.

ც ჯგუფში მოულოდნელი ის იყო, რომ ატლეტიკომ მანამდე ვერ მოუგო მატჩები ყარაბახს, რაც ევროპალიგაზე გადასვლად დაუჯდათ. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ჩელსი და რომა არალოგიკურად გავიდნენ ჯგუფიდან.

ბოლო ტურში ატლეტიკომ სტუმრად ფრედ ითამაშა ჩელსისთან და რომც მოეგო, აზრი არ ჰქონდა, რადგან პარალელურად რომამ მოუგო ყარაბახს.

დ ჯგუფში ბარსელონამ სპორტინგს 2:0 მოუგო. კატალონიელთა გუნდის ლიდერი ლეო მესი მოედანზე დასკვნით წუთებში გამოჩნდა. ანგარიში პაკო ალკასერმა გახსნა, ბოლოს კი ავტოგოლი ექსბარსელონელმა ჟერემი მატიომ შეაგდო.

„ბლაუგრანას“ გაშვებული გოლების რაოდენობის მხრივ საუკეთესო შედეგი აქვს ჩემპიონთა ლიგაზე, გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ 1 გოლი გაუშვა. ეს იყო ოლიმპიაკოსთან (3:1) მატჩში, როდესაც შეხვედრის ბოლო წუთზე ბერძნებმა პრესტიჟის გოლი გაიტანეს.

ტურინის იუვენტუსს მოგება უნდოდა საბერძნეთში და მოიგო კიდეც. ჯერ პირველ ტაიმში კუადრადომ გახსნა ანგარიში, ბოლოს კი ბერნარდესკიმაც იხეირა.

ბარსა პირველია, იუვე – მეორე, ხოლო სპორტინგი ევროპალიგაზე გაგრძელებს თამაშს.

ლაშა ტალახაძის ახალი ნიშა – 477

24 წლის ქართველმა ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ანაჰაიმში მსოფლიოს 2 რეკორდი დაამყარა და 2017 წლის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

მართალია, ჩვენებურმა ორივე რეკორდი თავისი გაუმჯობესა, მაგრამ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახა, რომ ძალოსანთა მძიმე წონაში კონკურენტი ფაქტობრივად არ ჰყავს.

არადა, ქართველი ძალოსნის უშუალო კონკურენტებად 2 ირანელი სპორტსმენი – ბეჰდად სალიმიკორდასი და საეიდ ალიჰოსეინი ითვლებოდნენ.

ალიჰოსეინმა ატაცი 203 კილოგრამით დაიწყო და მხოლოდ მე-3 ცდაზე დაძლია, რაც ნიშნავდა, რომ ლაშასთან კონკურენცია გაუჭირდებოდა. სალიმმა 205 აიტაცა, ლაშამ პირველივე ცდაზე 5 კილოგრამით გაასწრო, იქვე სალიმმა 211 დააფიქსირა, ტალახაძემ 215 კილოგრამსაც წარმატებით შეუტია. ზუსტად ისე, როგორც რიოს ოლიმპიადაზე, სალიმი 216 კილოგრამიან შტანგასთან მივიდა, მაგრამ ამჯერად ვერ დაიმორჩილა და ქართველი ძალოსანი მცირე ოქროს მედლის მფლობელი გახდა ამ დისციპლინაში.

ლაშა ამას არ დასჯერდა, 220 კილოგრამი შეუკვეთა, რაც მანამდე არსებულ თავისივე მსოფლიო რეკორდზე 3 კგ-ით მეტი იყო. ტალახაძემ ეს წონაც იოლად დაძლია, ახალი რეკორდი დაამყარა და მე-2 დისციპლინის წინ, 9 კგ-ით გაუსწრო უმთავრეს კონკურენტს.

სალიმის ამ ჩამორჩენის აღმოფხვრის იმედი ჰქონდა, მაგრამ აკვრაში 2 ცდა გააფუჭა – ირანელი მარჯვენა ხელის იდაყვს ბოლომდე არ შლის და ეს მსაჯებს არ გამოპარვიათ. სალიმის გაფუჭებული ცდების შემდეგ ცხადი იყო, რომ ლაშას მორიგ ტიტულს ორჭიდის ჯამში ვერავინ შეეცილებოდა, მაგრამ კიდევ ერთი მცირე მედალიც არ აწყენდა არც ლაშას და არც ქართულ დელეგაციას. ლაშას ამ დისციპლინაშიც უნდოდა რეკორდზე წასვლა, რაც 265 კილოგრამია, მაგრამ სწორედ იმის გამო გადაიფიქრა, რომ ყულაბისთვის კიდევ ერთი მედალი შეემატებინა. ამასთან, ასეთ წონას ლაშა არასდროს შესჭიდებია და ურთულესი იქნებოდა. თუმცა, ორჭიდის რეკორდზე წავიდა – მე-3 ცდაზე 257 კილოგრამი შეუკვეთა, რომელიც იოლად დაძლია და ასევე თავისი რეკორდი 4 კგ-ით გააუმჯობესა.

საბოლოოდ, ტალახაძემ 477 კგ. მოაგროვა და მე-2 ადგილზე გასულ ალიჰოსეინის ერთბაშად 23 კგ-ით გასწრო. ბრინჯაოს მედალი სალიმი კორდაბასის (453 კგ.) ერგო.

მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატის ბოლოს ქართული ჰიმნი გაისმა, ხოლო ლაშამ 3 ოქროს მედლითა და 2 მსოფლიო რეკორდით „დახურა“.

ამ მედლებმა გუნდურ ჩათვლაშიც წინ წაგვწიეს – ქართველმა ძალოსნებმა 5 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და მე-3 ადგილი დაიკავეს.

ქუთაისმა იოლად მოიგო, ოლიმპმა – ბრძოლაში

ქუთაისი-მარნეული 97:59

(22:18, 29:16, 23:6, 23:19)

იმერეთის სუპერლიგას დებიუტანტი მარნეულის დელტა ესტუმრა და მასპინძლებთან ვერაფერი გააწყო. ქუთაისმა ყველა მეოთხედი მოუგო მეტოქეს და საბოლოოდ იოლ გამარჯვებას დაეპატრონა.

მაყურებელმა ბრძოლა მხოლოდ დასაწყისში იხილა. მართალია, საწყისი პერიოდი მასპინძლებმა მოიგეს, თუმცა თამაშის 10 წუთის შემდეგ ანგარიშში დიდი სხვაობა არ ყოფილა. იმერულმა კლუბმა მარნეულს პერიოდი 22:18 მოუგო, რის შემდეგაც სრულ უპირატესობას დაეუფლა. მასპინძლებმა მეორე მეოთხედი 29:16 მოიგეს, მესამეში კი მეტოქეს 23:6 სძლიეს და შეხვედრის ბედი გაარკვიეს.

ბოლო მეოთხედმა აზრი დაკარგა – ქუთაისი 34 ქულით იგებდა და გასარკვევი ისღა იყო, თუ რა სხვაობით დასრულდებოდა შეხვედრა. საბოლოოდ მასპინძლებმა 97:59 იმარჯვეს, 6 მოგების წილ 2 მარცხი დააგროვეს და ცხრილში გალიდერდნენ. თუმცა დაკარგული ქულებით ლიდერი დინამოა, რომელსაც 6-დან 6 მოგება აქვს.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისელთაგან ყველა კალათბურთელმა დააგროვა ქულები, რაც მსოფლიო პრაქტიკაშიც კი იშვიათია შემთხვევაა. მეტიც – სათადარიგოებმა 48 ქულა აიღეს, ხოლო ძირითადი ხუთეულის წევრებმა – 49.

ქუთაისელებს 11 ქულითა და 11 მოხსნით ბექა ბექაურმა ულიდერა. 13 ქულა დაგროვდა დეეუან რაითის ანგარიშზე, ხოლო ბექა წივწივაძემ და ჯონათან ლიმ 9-9 ქულა და 6-6 პასი დააგროვეს. მარნეულის გუნდში 15 ქულით ბომბარდირი ნიკოლას ნილი გახდა, ხოლო ზვიად ანთაძემ პირად ანგარიშზე 13 ქულა დააგროვა.

ოლიმპი-რუსთავი 71:66

(18:18, 20:18, 13:14, 20:16)

ოლიმპმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა რუსთავი და ცხრილში გაუთანაბრდა. მატჩს ორივე გუნდისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ისინი ცხრილის ზედა ნაწილში არიან და მათ შორის სხვაობა მხოლოდ ერთ ქულას შეადგენდა. გამარჯვების შემთხვევაში ოლიმპელები რუსთაველებს ქულებით უთანაბრდებოდნენ და ეს ლეონიდ ივატინის გაწვრთნილმა გუნდმა მოახერხა კიდეც.

პირველი პერიოდი ფრედ – 18:18 დასრულდა. მეორე მეოთხედშიც ვერ გამოიკვეთა ლიდერი: თბილისურმა გუნდმა 2 ქულით – 20:18 იძალა და დიდ შესვენებაზე მცირე უპირატესობით გავიდა. მესამე ათწუთიანმაც თანაბრად ჩაიარა, ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა წინ სოლიდური სხვაობით გაჭრას.

თანაბარი ორთაბრძოლა ბოლო წუთებამდე გაგრძელდა, თუმცა დასკვნით წუთებში თბილისელებმა მეტი სიზუსტე გამოავლინეს და ბოლო წუთზე 5 ქულით დაწინაურდნენ. რუსთაველებს მაინც ჰქონდათ მოგების შანსი, როცა ოლიმპელი მარკ ოგდენი არასპორტულად დაჯარიმდა. რევაზ ჩაჩანიძემ ორივე საჯარიმო ჩააგდო და სტუმართა ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა. თუმცა, გადამწყვეტ შეტევაში რუსთაველებმა ბურთი დაკარგეს და მასთან ერთად თამაშის გადარჩენის შანსიც გაანიავეს.

ოლიმპს 18 ქულით მიხეილ ჭოჭუამ ულიდერა. 14 ქულა მორის ჰილის ანგარიშზე დაგროვდა, გივი ბაქრაძემ კი 11 ქულასთან ერთად 8 პასიც მიითვალა. რუსთავში 20-20 ქულით ადამ ბლეიზეკი და ტაირელ ნელსონი გამოირჩნენ. ამ უკანასკნელის ანგარიშზე 13 მოხსნაც დაგროვდა.

ბათუმი იტალიაში ტრავმირებული მოთამაშეებით ჩადის

საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ბათუმი 9 დეკემბერს, ევროპული რაგბის „კონტინენტის ფარზე“ იტალიაში ვიადანას ესტუმრება და გამარჯვების შემთხვევაში ფლეი ოფისკენ უდიდეს ნაბიჯს გადაგამს. მეტიც, ტურნირის ფორმატიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ იტალიაში გამარჯვებით ზღვისპირელებმა ფლეი ოფი ნაადრევად დაიბევონ.

2 თამაშის შემდეგ ბათუმს 7 ქულა აქვს და ჯგუფში პირველ ადგილზეა. მისი უახლოესი მდევარი კალვიზანოა, რომელსაც ჯამში 6 ქულა მოუგროვდა. კალვიზანი 9 დეკემბერს რუმინეთში ტიმიშოარა-სარასენსს ეთამაშება და ამ შეხვედრას ნიკა ამაშუკელი განსჯის. 5 ქულა აქვს კიდევ ერთ იტალიურ კლუბს პეტრარკას, რომელიც მე-3 ტურში ჰაიდელბერგს სტუმრობს. 4 ქულა აქვს პორტუგალიის ჩემპიონს, ლისაბონის უნივერსიტეტის გუნდს და შაბათს როვიგოს ეწვევა.

მატჩებმა არ დაგაბნიოთ, ფორმატის თანახმად „კონტინენტის ფარზე“ 2 4-გუნდა ჯგუფია, სადაც თანაჯგუფელები ერთმანეთს ეჯიბრებიან, მაგრამ არ ეთამაშებიან. თითოეული ჯგუფიდან ფლეი ოფში ორ-ორი მოწინავე გადის და ამრიგად, ბათუმელთა იტალიაში გამარჯვება და მისი 2 თანაჯგუფელის მარცხი (ბონუსის გარეშე), მიზნის მისაღწევად საკმარისი იქნება.

ბათუმი ვიადანასთან მატჩისთვის შინ ემზადებოდა და დღეს იტალიაში წავიდა.

დავით გუგუშვილი, მთავარი მწვრთნელი:

– რთულ სიტუაციაში ვართ. ტრავმების გამო სავარჯიშო პროცესს გვიან შემოურთდნენ ბახვა კობახიძე, ბექა ურჯუკაშვილი და დავით ტრაპაიძე. უელსთან მიღებული ტრავმის შემდეგ გვიან შემოგვიერთდა ლაშა ხმალაძეც. 2 დაშავებული გვყავს შერკინების ხაზში. მჯერა, რომ სამედიცინო გუნდი მაქსიმუმს გაიღებს, რათა შაბათისთვის ყველა მწყობრში იყოს. ტრავმების სირთულიდან გამომდინარე, მათი უმოკლეს ვადებში სრულად განკურნება შეუძლებელია, თუმცა იტალიაში ყველა ეს მოთამაშე მიგვყავს და გარკვეული დროით მაინც, ისინი მოედანზე იქნებიან.

ჩვენ სხვა არჩევანი უბრალოდ არ გვაქვს. ვუყურეთ მეტოქის მატჩების ჩანაწერებს და როვიგოსთან და კალვიზანოსთან ახლოსაც ვერ მივა. რა თქმა უნდა, მათ ერთი კონკრეტული თამაშის მაღალ დონეზე ჩატარება შეუძლიათ, თუმცა ვიადანას სუსტი წერტილები კარგად შევისწავლეთ და ვეცდებით, სწორედ აქ შევუტიოთ. იტალიელებს შერკინებაში ზორბა ბიჭები ყავთ, მაგრამ მობილურობა აკლიათ. პირველ ტაიმში ისინი ყველა მეტოქეს კარგად ეთამაშებიან, მეორე ტაიმში შედარებით უჭირთ.

ჩვენი მოტივაცია ძალიან დიდია, რადგან გამარჯვების შემთხვევაში ფლეი ოფს მაქსიმალურად მივუახლოვდებით და თუ კონკურენტები დამარცხდებიან, შესაძლოა ჯგუფიდან გასვლა ნაადრევად გავიფორმოთ.

ასაკობრივი ნაკრებების მეტოქეები გარკვეულია

შვეიცარიის ქალაქ ნიონში უეფას შტაბ-ბინაში გამართულ კენჭისყრის შედეგად გაირკვა, ევროპის 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს 17 და 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებების მეტოქეები ცნობილია.

17 წლამდე ნაკრები, რომელსაც ზვიად ჯელაძე წვრთნის, მე-6 ჯგუფში მოხვდა რუსეთთან, დანიასთან და ესტონეთთან ერთად. მატჩები 2018 წლის 24-30 ოქტომბერს გაიმართება.

ჯგუფიდან ელიტ რაუნდში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები გავლენ.

ევროპის 2019 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე 19 წლამდე ფეხბურთელთა მეტოქეები პირველ ჯგუფში ისრაელი, აზერბაიჯანი და ლიხტენშტეინი იქნებიან.

აქაც ჯგუფიდან ელიტ რაუნდში 1-2 ადგილზე გასული გუნდები ითამაშებენ, ხოლო საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს 2018 წლის 14, 17 და 20 ნოემბერს თბილისი უმასპინძლებს.

შედეგები

5 დეკემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

მანჩესტერი-ცსკა	2:1
ბენფიკა-ბაზელი	0:2
ბაიერნი-პსჟ	3:1
სელტიკი-ანდერლეხტი	0:1
რომა-ყარაბახი	1:0
ჩელსი-ატლეტიკო	1:1
ბარსელონა-სპორტინგი	2:0
ოლიმპიაკოსი-იუვენტუსი	0:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რუსეთი 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე არ დაუშვეს



მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტომ დაადასტურა ანონიმური ინფორმატორის მიერ მისთვის მიწოდებული ელექტრონული ბაზის მონაცემების ნამდვილობა. რუსი სპორტსმენების დოპინგ-სინჯების მონაცემთა ელექტრონული ბაზა 2012 წლის იანვარსა და 2015 წლის აგვისტოს შორის პერიოდს მოიცავს.

განაჩენი გამოტანილია – რუსეთის ჰიმნი 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ვეღარ გაჟღერდება და არც დროშა იფრიალებს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვერდიქტით, რუსეთი პიონჩანგის ზამთრის ოლიმპიადაზე არ დაიშვება, რადგან მათი სპორტსმენები დოპინგის მიღებაში იქნენ მხილებულნი, ზოგიერთი მათგანის შედეგები გააუქმეს და სოჭის ოლიმპიადაზე მოპოვებულ მედლებს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს გადაუნაწილებენ.

ქვეყნის ვიცე-პრემიერს ვიტალი მუტკოსა და სპორტის მინისტრს იური ნაგორნიხს სამუდამოდ აუკრძალეს ოლიმპიური მოღვაწეობა.

თუმცა, რუსები ბოლომდე არ გაუწირავთ. ის სპორტსმენები, რომლებიც დამნაშავეები არ არიან, ტურნირზე მხოლოდ ნეიტრალური დროშით იქნებიან დაშვებულნი და დაჯილდოებისას მათი ქვეყნის ჰიმნის ნაცვლად ოლიმპიური ჰიმნი აჟღერდება.

ოლიმპიური კომიტეტის კომისიის ხელმძღვანელმა სამუელ შმიდმა განაცხადა, რომ უპრეცედენტო მასშტაბის მანიპულაციას ჰქონდა ადგილი, ოლიმპიურ მოძრაობას დიდი ზიანი მიაყენეს.

გიუნტერ იუნგერი, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი:

– ჩვენ დავასრულეთ გამოძიება და შეგვიძლია დავადასტუროთ მონაცემთა ბაზის ნამდვილობა. ბაზაში არსებული მონაცემები ადასტურებს როდჩენკოვის მტკიცებას იმის შესახებ, რომ 2012-2015 წლებში რუსი სპორტსმენები მოიხმარდნენ დოპინგს.

მოურინიომ ვენგერი და გვარდიოლა გაკიცხა

მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ, რომელიც ექსტრავაგანტული განცხადებებით არის ცნობილი, თვალთმაქცობაში დასდო ბრალი არსენალის თავკაცსა და არსენ ვენგერსა და მანჩესტერ სიტის დამრიგებელ ხოსეპ გვარდიოლას.

შაბათს ლონდონში არსენალთან გამართულ შეხვედრაში მოურინიოს სიბრაზე გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ალექსანდრ ლაკაზეტი „მეთოფეთა“ სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა. არადა, მატჩის წინ, ვენგერის განცხადებით, ფორვარდს ტრავმის გამო თამაშის შანსი არ ჰქონდა.

ამჯერად თითქმის იმავე განცხადებას აკეთებს პეპ გვარდიოლა, რომლის თქმითაც, მცირე დაზიანება მიიღო დავიდ სილვამ და მისი მონაწილეობა მანჩესტერულ დერბიში საეჭვოა. სწორედ ამ ფაქტმა აღაშფოთა მანჩესტერელთა მწვრთნელი.

ჟოზე მოურინიო:

– ჩვენს მეტოქეებს ეს პრობლემები აღენიშნებათ. მათ დიდი პრობლემა აქვთ, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდება, რომ ყველა მზადაა სათამაშოდ. მათ ფენომენალური ორგანიზაცია აქვთ, ჩვენ კი ცოტა მოკრძალებულები ვართ. როცა პრობლემა გვაქვს, მართლაც პრობლემაა და როცა ფეხბურთელები დაშავებულნი არიან, მართლაც ტრავმა აქვთ. მე სიმართლეს ვამბობ. სიმართლე კი მდგომარეობს იმაში, რომ ერიკ ბაიი კვირას ვერ ითამაშებს. ფილ ჯონსს შანსი აქვს. ფელაინისაც აქვს შანსი. იბრაჰიმოვიჩს ძალიან დიდი შანსი აქვს. მატჩი ტრავმირებულია, მაგრამ მაინც ითამაშებს. სიმართლეს გეუბნებით, ტრავმირებულია და მაინც ითამაშებს. კერიკს შანსი არ აქვს. მე სიმართლეს ვამბობ, არავითარი გამონაგონი, როგორც ეს ლაკაზეტისა და დავიდ სილვას შემთხვევაში იყო.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ხავიერ მასკერანოს ბარსელონას დატოვება სურს

ბარსელონას არგენტინელ მცველს ხავიერ მასკერანოს იანვარში ბარსელონას დატოვება სურს, რადგან მან კატალონიური გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. მასკერანოს ჩინური გუნდებისგან აქვს რამდენიმე შემოთავაზება და, სავარაუდოდ, ის სწორედ ამ ქვეყანაში გააგრძელებს კარიერას.

არგენტინელი ფეხბურთელი ბარსელონაში 2010 წელს გადავიდა და მას შემდეგ 7 წლის მანძილზე მან ამ გუნდის შემადგენლობაში უამრავი ტიტული მოიგო.

ბარსელონაში გადასვლამდე მასკერანო ლივერპულის ფეხბურთელი იყო და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა.

უსმან დემბელე გუნდთან ერთად ვარჯიშობს



ბარსელონას ფრანგი ფორვარდი უსმან დემბელე თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა და ის უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ის მოედანზე, რადგან ბარსელონას მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე თვლის, რომ დემბელემ არ უნდა იჩქაროს მოედანზე დაბრუნება და არ უნდა მიიღოს ამის გამო კიდევ ერთი ტრავმა.

აღსანიშნავია რომ 23 დეკემბერს გაიმართება ელ-კლასიკო, ბარსელონას და რეალის დაპირისპირება და ამ შეხვედრაში დემბელეს სურს მონაწილეობის მიღება. შესაძლოა, დემბელეს სურვილი აუსრულდეს კიდეც, თუ ვალვერდე შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

მესის ჩელსის წინააღმდეგ თამაში სურს

ბარსელონას არგენტინელმა ვარსკვლავმა ლიონელ მესიმ განაცხადა, რომ მას ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში ლონდონის ჩელსის წინააღმდეგ თამაში სურს.

ჩელსის ბარსელონა ბოლოს 2012 წელს შეხვდა, როდესაც დრამატულ მატჩში ლონდონელებმა ნოუ კამპზე ფრეს მიაღწიეს და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდნენ. მესიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას ჩელსისთან რევანშის აღება სურს და დიდი სიამოვნებით დაუპირისპირდებოდა ამ კლუბს კიდევ ერთხელ.

ჩელსის და ბარსელონას ურთიერთშეხვედრების მრავალწლიანი ისტორია აქვთ.

სიმეონემ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნაზე ისაუბრა

დიეგო სიმეონემ მადრიდის ატლეტიკოს ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს შედეგი ყარაბაღთან ორი ვერმოგებული მატჩის ბრალია.

სიმეონეს აზრით, ეს შეხვედრები გადამწყვეტი იყო.

– ძალიან სამწუხაროა, რომ შემდეგ ეტაპზე ვერ გავედით და ეს მთლიანად გუნდის ბრალია. ჩვენ უნდა მოგვეგო ყარაბაღთან და მაშინ ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. უკვე ვეღარაფერს შევცვლით, ამიტომ მომავალ შეხვედრებზე უნდა ვიფიქროთ, – განაცხადა დიეგო სიმეონემ.

ატლეტიკო ევროტურნირებს არ დამშვიდობებია და გაზაფხულზე სიმეონეს კოლექტივი ევროპის ლიგაზე გააგრძელებს ასპარეზობას.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სამართალი

შსს-მ გორში მომხდარ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს და გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1993 წელს დაბადებული ო.რ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 1950 წელს დაბადებულ ნ.პ.-ს მისსავე საცხოვრებელ სახლში ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და მიიმალა. ნ.პ. მიყენებული ჭრილობის შედეგად, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.– სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით), – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული საგენტოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თურქეთის მოქალაქე, 1969 წელს დაბადებული ს.ე. ნარკოდანაშაულისთვის ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმ დროს დააკავეს, როცა მან თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეს, 10.000 ამერიკული დოლარის სანაცვლოდ, ნარკოტიკული საშუალება „ამფეტამინის“ 996 აბი მიჰყიდა, რომლის საერთო წონა, ექსპერტიზის დასკვნით, 50,2697 გრამია.

პოლიციამ ფული და დაკავებულის მიერ გაყიდული ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილით).

ასტროპროგნოზი

7 დეკემბერი

ვერძი – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** – გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** – ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** – ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** – მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** – ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით – კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** – ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** – შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ესპანელი ფერმწერი; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 5. სამრეწველო საწარმო; 6. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 11. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 13. სამხრეთ ამერიკის აღმომჩენი იტალიელი ზღვაოსანი; 14. კომიკური ოპერების სახელწოდება ავსტრიასა და გერმანიაში; 15. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 17. დიდი სპორტული შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 18. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 19. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი.

თარაზულად: 5. მეფის სიგელი; 8. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 9. ბირმის დღევანდელი სახელწოდება; 10. გეომეტრიული ფიგურა; 12. გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი მეტალურგიაში; 14. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 16. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. აშშ-ის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი; 20. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 21. ელექტროობის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. ბუნებრივი წყალვარდნილი; 23. ღამის ფრინველი; 24. შიგანვის ძრავის მქონე ორთვლიანი მანქანა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბომარშე; 2. კლონი; 3. კოხინორი; 4. ანგარი; 5. ყვარელი; 6. დიოგენი; 11. გნოლი; 13. ბოსტონი; 14. ანდერსენი; 15. კორელაცია; 17. ბეკონი; 18. კოიოტი; 19. ლეკი.

თარაზულად: 7. ბოჟოლე; 8. როინაშვილი; 9. საბენა; 10. პიკადორი; 12. სენბერნარი; 14. ამიაკი; 16. აბრსკილი; 18. კადასტრი; 20. დიორი; 21. ილი; 22. პოინტერი; 23. ნიცა; 24. ქიმერიონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბიბლუსი; 2. ტალავარი; 3. ინტელი; 4. პირეი; 5. შიფონერი; 8. კერამიკა; 12. ტიბო; 13. ევოლუცია; 14. ჟირაფი; 16. ტიციანი; 18. ბუტკო; 20. კები.

თარაზულად: 6. ვიქტორია; 7. მონოტიპი; 8. კავანი; 9. ბურჟე; 10. პარალიზი; 11. გასტრიტი; 15. კვერკველია; 17. ჰოპერი; 19. ფრიკადელი; 21. აცეტატი; 22. კატალონია; 23. ციპრასი.

ბაჩანა ჭანტურია აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს ცეკვას უფასოდ შეასწავლის

ანსამბლ „სუხიშვილების“ სოლისტი ბაჩანა ჭანტურია აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს ცეკვას უფასოდ შეასწავლის.

პროფესიონალმა და გამოცდილმა ქორეოგრაფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქართული ცეკვა 6-დან 15 წლამდე ბავშვებს შეასწავლოს.

ცეკვის გაკვეთილები აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სააქტო დარბაზში უზნაძის 68 ნომერში ჩატარდება.

თბილისის ბიჭუნათა კაპელა და ახალგაზრდული გუნდი მსოფლიომ გაიცნო



მას შემდეგ, რაც „ნიჭიერის“ ნახევარფინალში თბილისის ბიჭუნათა კაპელამ და ახალგაზრდულმა გუნდმა ლეგენდარული ჯგუფ ქვინის ჰიტი „ბოჰემური რაფსოდია“ შეასრულა, ნიჭიერი ქართველი მომღერლები მსოფლიომ გაიცნო.

„ნიჭიერში“ შესრულებული ნომერი ქვინის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ვუბ გვერდზე განთავსდა. ვიდეოს გავრცელებიდან რამდენიმე საათში ქართველი მომღერლების ვიდეოს ათასობით დადებითი კომენტარი, მოწონება და გაზიარება დაიმსახურა.

ინფორმაცია თბილისის ბიჭუნათა კაპელასა და ახალგაზრდული გუნდის წარმატების შესახებ „ნიჭიერის“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– ჩვენი კაპელა ქვინ ოფ მეჯიქზე. ეს ქვინის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ონლაინ პლატფორმაა, რომელსაც მხოლოდ ფეისბუქზე 800.000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. პლატფორმა ქვინის ახალი ამბების ესპანურ ენაზე გასავრცელებლად 2000 წელს შეიქმნა. ძალიან გვეამაყება!

მამა სერაფიმემ საგალობელი ქართულად დაწერა

ქანდის ტაძრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა მამა სერაფიმემ არამეულის შემდეგ, საგალობელი ქართულად დაწერა.

„შევიდე სახლსა შენსა“ – ასე ეწოდება მამაოს პირველ ქართულ საგალობელს, რომელიც მამა სერაფიმემ ანსამბლ „მუხამბაზთან“ ერთად შეასრულა.

ჩაწერილ დუეტზე მამა სერაფიმემ ვიდეორგოლიც გადაიღო, რომლის რეჟისორიც ზაზა ხალვაშია. ვიდეორგოლში საქართველოს ულამაზესი ხედები და ქართული ეკლესიამონასტრებია გაერთიანებული.

კლიპი ინტერნეტში უკვე გავრცელდა, რომელსაც უამრავი გაზიარება, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

გიორგი უშიკიშვილი: „გადის დრო და არაფერი იცვლება, მხოლოდ უკან და უკან!“

ასე მიაჩნია მომღერალ და ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელ გიორგი უშიკიშვილს:

– ქვეყანაში, სადაც არ ფასდება განათლება, პროფესიონალიზმი, ერთგულება, ეროვნულობა. ებრძვიან ყველას, ვინც კარგს აკეთებს ამ ქვეყნისთვის!

ამასთან, როდესაც თავზე წამოგასვამენ უსაქმურებს და პროფესიონალები სახლში სხედან. როდესაც ადამიანები პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების გამო ისჯებიან! როდესაც შენივე ხელით შენს უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას ანადგურებ. როდესაც შენს მომავალ თაობას ყველაფერს დილეტანტურს აზიარებ. როდესაც ბოდიში და ფეხებზე გკიდია ქვეყანა, იპარავ, სახლში მიგაქვს, რომ შენს სახლს დიდი ღობე შემოარტყა, გისოსებში ჩასვა და მხოლოდ იმაზე იფიქრო, რომ შენ იყო კარგად.

და კიდევ ბევრი რამ, რა მოყვება ამდენს! ამის შემდეგ ნუღა გექნება იმის განცდა, რომ შენი შვილები შენზე უკეთესები იქნებიან!

გადის დრო და არაფერი იცვლება, მხოლოდ უკან და უკან!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქართული სახარება-პალიმფსესტი „იუნესკოს“ მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეიტანეს

იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცული ქართული სახარება-პალიმფსესტი „იუნესკოს“ მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეიტანეს. ხელნაწერი 6 დეკემბერს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გამოიფინა. ღონისძიება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გახსნეს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი პირები.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სახარების მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეტანის გადაწყვეტილება იუნესკოს მსოფლიო მეხსიერების პროგრამის საერთაშორისო მრჩეველთა კომიტეტმა მიიღო. ქართული ხელნაწერი იმ 78 კოლექციასა და დოკუმენტს შორის მოხვდა, რომელიც რეესტრს 2017 წელს შეემატა. ხელნაწერის ნომინაცია საქართველოს ეროვნულმა არქივმა „იუნესკოს“ 2016 წელს წარუდგინა.

უმნიშვნელოვანესი და იშვიათი ქართული ხელნაწერის ახალი აღწერილობის შექმნამდე სახარება-პალიმფსესტზე მხოლოდ მოკლე და მშრალი ინფორმაცია არსებობდა. შესწავლამ გამოავლინა, რომ ხელნაწერი შეიცავს სამფენიან პალიმფსესტურ ფურცლებს და მასში არა ორი, არამედ, სულ მცირე, 4 ხელნაწერია ძირითადი ტექსტისა და ქვედა ფენების სახით. დაზუსტდა ტექსტის ქრონოლოგიაც.

ხელნაწერში ქართული ანბანის სამივე საფეხურია წარმოდგენილი. უძველესი შრე, რომელიც IX-X საუკუნეებით განისაზღვრება, ასომთავრულითაა ნაწერი, მეორე და მესამე შრეები XII-XIV საუკუნეების ნუსხურით, ანდერძ-მინაწერები კი, რომლებიც XIII-XVIII საუკუნეებისაა – მხედრულით.

ხელნაწერი საუცხოოდ არის გაფორმებული, ახლავს წმიდა მათე მახარებლის, წმიდა მარკოზ მახარებლის, წმიდა იოანე მახარებლისა და წმიდა პროხორეს მინიატურები. სახარებათა დასაწყისები გაფორმებულია თავსამკაულებით.

ზედა ფენის გადამწერი და გამცხოველებელი ვინმე გიორგი, მომგებელი კი, ბერი ესტატეა.

ხელნაწერი ეროვნულ არქივში 1924 წელს თორტიზის მონასტრიდან შევიდა. მისი შესწავლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

დევიდ კომა მუგლერის კრეატიული ხელმძღვანელი აღარ არის

ქართველი დიზაინერი დევიდ კომა მუგლერის კრეატიული ხელმძღვანელი აღარ არის.

ოცნებები ხდება თუ ბევრს იშრომებ. კომახიძემ მოდაში მუშაობა მუგლერის ჩვენებების ყურების შემდეგ გადაწყვიტა. თიაღი მუგლერი დათოს საყვარელი დიზაინერია. წლების შემდეგ, იმ ბრენდის დიზაინერი გახდა, რომელმაც შთააგონა დიზაინერობა. ახლა დევიდ კომა საკუთარ ბრენდს მიხედავს.

ბოლო პერიოდში ბევრმა ბრენდმა შეცვალა კრეატიული ხელმძღვანელი, რადგან ყველა მათგანს წარმატებული საქმიანობა და ბევრი გაყიდული კოლექცია სურს.

ამიერიდან მუგლერს ახალი კრეატიული ხელმძღვანელი ჰყავს. 4 წლის შემდეგ, დავით კომახიძე ბრენდს ტოვებს. მუგლერის მფლობელი კომპანიის პრეზიდენტის, სანდრინი გროსლიერის ახალ ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ ქეისი ქედვალადერის დანიშვნის მიზანი მუგლერის პოპულარობის გაზრდა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი ავანგარდული ბრენდის სახელის დაბრუნებაა.

მუგლერის ახალი კრეატიული ხელმძღვანელის დებიუტი შედგება მომავალი წლის მარტში. გაზაფხული-ზაფხული 2018-ის კოლექცია იყო დათო კომახიძის ბოლო კოლექცია მუგლერის კრეატიული ხელმძღვანელის ამპლუაში.

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 2. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 3. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. იაპონური სამრეწველო-მანქანათმშენებელი კონცერნი; 8. ლამაზად, მოხდენილად ჩამცმელი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 12. მდინარე ჰამბურგში; 13. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 16. პატარა რესტორანი იტალიაში; 18. ფრანგი კინორეჟისორი; 20. ინდური მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი.

თარაზულად: 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 8. სოფლის პოლიციელი ძველად; 9. ელექტრონული ავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 10. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 11. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 19. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 21. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 22. კიდული რკინიგზა; 23. ქართული ტელეკომპანია.



შეადგინა
თ. კოპალეიშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი
7 დეკემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მოგზაური დორა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15, 05.40** ტ/სერ. "**ჩენბერ ვეტრინე**" **10.00, 02.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25, 22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" **15.30** დოკ/ფ "ძველი რომის საგანძური" **16.30** ტ/სერ. "**ველვეტი**" **18.30, 06.40** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.00, 03.10** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **23.15** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **00.15** მხ/ფ "**ჩაპი**" **04.00** მხ/ფ "**დამლოცე ულტიმა**"

06.30, 16.00 სერ. "**ბყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00,** ქრონიკა **10.10** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **1** სერ. **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**ბიჭი- სათამაშო**" **02.15** მხ/ფ "**ვერსალის ბალები**" **04.25** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები 3**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამიწელი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ზზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**მორჩილების საკანე**" **22.00** პროფილი **23.30** გაიცინე და მოიგე **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

პირველი **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება -NEWS **13.40, 23.00** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** პირველები **23.30** ღალატი

08.00 ან/ფ "ატომი" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 7**" **11.00** მხ/ფ "**დაბეიწყე პარიზი**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 2**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 6**" **21.00** სერ. "**ლურჯის ელფერი 2**" **22.00** მხ/ფ "**დაცემული**" **00.30** მხ/ფ "**ზვიდი**" **02.30** მხ/ფ "**ანგელოზების ქალაქი**" **04.30** მხ/ფ "**ჯადოქრის მოსწავლე**" **06.30** მხ/ფ "**დაბეიწყე პარიზი**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე" **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** მხ/ფ " **მწვანე ქუჩის ხულიგანები**" **3.40** ცენზურის გარეშე

06.15 მოკ. მხ/ფ "**ნისლა**" **06.25** მუს. პაუზა **06.40** სამყაროს შექმნა **06.45** სალბუნი "სისხლის განხილვა" **07.25** ქართული ალბომი **07.50** პატრიკი-"როგორ გახდა უმოწყალო კაცი მოწყალე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-კუები" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ღვთის სახლი "ანაკლია-ახალი ათონი" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.05** მხ/ფ "**მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ**" **13.20** ან/ფ "ბოლტო" **2 15.05** ქართული ან/ფ **15.25** საქართველოს ქალაქები "გურჯაანი" **15.40** კონცერტი **16.10** დ/ფ "სარტაკ ბალაშვილი" **16.35** ქრისტიანული ხელოვნება **17.20** დ/ფ "ქართული გალობა რომში" **17.45** წმინდანები "წმინდა დიდმოწამე ეკატერინე" **18.10** დ/ფ "პოდმანია" **18.25** ბავშვები მუზეუმში "ეთნოგრაფიის მუზეუმი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ღუკას სახარება**" **20.40** ძილი ნებისა "ბატი ტასიკო" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დ/ფ "ქორეოგრაფიის მეტრი-რეზო ჭოხონელიძე" **22.00** სიახლენი **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ქართული სამკაულის ოსტატები" **23.35** ივერიის ეკლესია "წმინდა პატრიარქი კირიონ II" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** დ/ფ "სათავეები-სულხან-საბა ორბელიანი" **01.30** კონცერტი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ხელმძღვანელობით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

7 დეკემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.7031
- ევრო — 3.2070
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6270
- 100 რუსული რუბლი — 4.6090

ამინდის პროგნოზი 7 დეკემბრისთვის

30 ნოემბრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის

ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იუმორი

გურული შვილს იტალიაში გაუშვებს სასწავლებლად. რამდენიმე წლის შემდეგ სახლში დაბრუნებულ შვილს ეკითხება:

– შვილო, ისწავლე რამე?

– კი, მამი.

– აბა, მაშინ მითხარი, როგორაა იტალიურად სკამი?

– სკამენცო.

– „სტოლი“?

– „სტოლენცო“

– ეეჰ, წაი, შვილო, წაი, ხელი მოჰკიდე „თოხენცოს“ და ჩადი „ყანენცოში“!

•••

მეგობარი გურულს ეკითხება:

– როგორ ხარ, როგორ მიდის საქმეები?

– გლახად, ძამა, ისე გლახად, რომ ჩემ დანახვაზე კატა სამჯერ აფურთხებს!!!

•••

მეზობელი მიხოს ეკითხება:

– ჯო, ვენახი რათა გაქვს გასათოხნი?

– იგრე მეჯავრება თოხი, რომ უკან რომ გამიკეთო, ხელს არ წავავლებ, გამოსაძრობად.

•••

სვანს ქალაქიდან სტუმარი ეწვევა. სუფრას აივანზე გაშლიან. ქეიფის დროს სტუმარი ხედავს, რომ მეზობელი კოშკიდან თოფს უმიზნებენ და მასპინძელს ეუბნება:

– მგონი, შენი მეზობელი მოკვლას მიპირებს, იარაღს მიმიზნებს.

– არაფერია, მაგასაც მოუვა სტუმარი და...

•••

კახეთში ამერიკელი ტურისტი ალაზანში ბანაობას გადაწყვეტს, მაგრამ მდინარე გაიტაცებს. ამერიკელი იხრჩობა და იძახის:

– ჰელფ მი, ჰელფ მი!

მდინარის პირას მდგომ მიხოს მარო ეკითხება;

– რას იძახის?

– რა ვიცი, მაგის დედაც, ინგლისურის ნაცვლად ცურვა რომ ესწავლა, არ ერჩივნა?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

ქართული დეტექტივი ტომი 13

პატრიარქის ზაფხული



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი